კონკურსი ისტორიაში
2017/2018

ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში



თბილისი
2018

A COOPERATION BY:

FUNDED BY:

Federal Foreign Office

OPERATING PARTNERS:

ბროშურაზე მუშაობდნენ: ინსეა კიდერლენი,
ნანა ციხისთავი,
დავით ჯიშკარიანი

დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი

რედაქტორი: რუსიკო კობახიძე

მოსწავლეების ესსეებში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ორგანიზატორთა მოსაზრებას. სტილი დაცულია.

ISBN:

შესავალი

2017 წლის 25 დეკემბერს საქართველოში რამდენიმე ასეულ ადამიანს შეტყობინება მიუვიდა, რომ სკოლის მოსწავლეებისათვის ისტორიის კონკურსი იმართებოდა. ტექსტი 15-18 წლის ადამიანებს მოუწოდებდა, აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა კონკურსში, რომლის მიზანიც ისტორიისა და წარსულის ხელახლა აღმოჩენა იყო. ამბები უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. მის მოსაძიებლად შეიძლებოდა, როგორც ოფიციალური წერილობითი დოკუმენტების გამოყენება, ასევე საოჯახო არქივებში დაცული მასალების მოპოვება. შეიძლებოდა ასევე ზეპირი ისტორიების ჩაწერაც.

„ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში“ - როგორი იყო ახალგაზრდა მე-20 საუკუნის საქართველოში? როგორ წარმოგიდგენიათ ეს ამბავი? როგორი იქნებოდი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს 1918-1921 წლებში? რას ფიქრობ, როგორ ისვენებდნენ მოსწავლეები, როდესაც საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო? რა ბარიერები ექნებოდათ მათ? გაქვს თუ არა წარმოდგენა, როგორ უძლებდნენ შენი ასაკის ახალგაზრდები რთულ დროებას 1990-იანებში, როდესაც საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა? რა გამოცდილება მიიღეს აღნიშნული პერიოდის ბევრი გამოწვევისგან? რა სახის გატაცებები ჰქონდათ და რა აწუხებდათ ყველაზე მეტად? რას წარმოადგენდა მათი ყოველდღიურობა და რით იცვლებოდა იგი მე-20 საუკუნის სხვადასხვა პერიოდებში?

თუ გინდათ, რომ გასცეთ პასუხები ამ კითხვებს, მაშინ ჰკითხეთ თქვენს მშობლებს, ბებიებს, ბაბუებს, მეზობლებს, ოჯახის მეგობრებს, ან, შეიძლება, მცხობელს, რომელიც შენი მეზობელია, ან ხილისა და ბოსტნეულის გამყიდველს. მოისმინეთ წინა საუკუნეში მათი ახალგაზრდობის ამბები და შეაგროვეთ მათი მოგონებები. მიიღე მონაწილეობა ისტორიის კონკურსში – „ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში“ 2017/2018 წლებში. შენ მიიღებ არა მარტო სიამოვნებას წარსულში მოგზაურობითა და ახალი აღმოჩენებით, არამედ ასევე შეგიძლია, იყო დიდი დაჯილდოების მონაწილე. გაიმარჯვე, მოიგე ფასიანი საჩუქარები, ან მიიღე შანსი, რომ წახვიდე ბერლინში, ისტორიის ბანაკში!

ისტორიის კონკურსის ეს განცხადება 3 თვის განმავლობაში იყო აქტუალური. მისი დასრულების შემდეგ კი ორგანიზატორებს ჰქონდათ სიამოვნება და პატივი, გაცნობოდნენ მათ ნამუშევრებს. კონკურსში სულ 56 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და 47 ნამუშევარი შემოვიდა.

აღნიშნული კონკურსი იყო მცდელობა, რომ ოფიციალური, ნაციონალური ნარატივიდან ისტორია გადასულიყო ყოველდღიური ცხოვრების აღწერაზე. ამ მიდგომით მოსწავლეები თავად ხდებოდნენ მკვლევრები, რომლებსაც უნდა მოეძიებინათ მასალა და დემუშავებინათ ის. კონკურსის პირობების თანახმად, ნაშრომი მასწავლებლის მენტორობით უნდა შექმნილიყო.

კონკურსი მიზნად ისახავდა, აემაღლებინა ინტერესი ისტორიის, როგორც საგნის მიმართ და მოსწავლეებში მისი შესწავლის მოტივაცია გაეძლიერებინა. ისტორია არ არის მხოლოდ ფაქტები და თარიღები. ის არ არის გაჩერებული წარსულში. მას დიდი გავლენა აქვს ყოველდღიურ ყოფაზე. თავის ირგვლივ ყველას შეუძლია ისტორიის შექმნა. მნიშვნელოვანი იყო „დაფარული“ ისტორიის გამომზეურება, ის, რაც არ ჩანს ერთი შეხედვით და რეალურად ხელმიუწვდომელია.

კონკურსის ენა იყო ქართული. თუმცა, მსურველებს შეეძლოთ ნამუშევრების გამოგზავნა სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამით კონკურსის ორგანიზატორები ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, უფრო აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა და არ ჰქონოდათ ენობრივი ბარიერი.

საბოლოოდ, ჟიურის ხანგრძლივი კამათისა და მსჯელობის შემდეგ, გამოვლინდა 3 გამარჯვებული. ნაშრომების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ გამარჯვებულ ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებულიყო კიდევ 3 ნაშრომი, ჯამში კი – 6. ყველა ეს ნაშრომი ამ ბროშურაშია თავმოყრილი.

აღნიშნული კონკურსი არ არის ერთჯერადი. ორგანიზატორები მომავალშიც გეგმავენ იგივე მიდგომით აქტივობების განხორციელებას, სადაც ისევ იქნება აქტუალური ისტორიაში ადამიანის როლი და ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ასახვა.

INTRODUCTION

In Georgia on 25th December 2017, several hundred people were informed that there was going to be a history competition for school children. The announcement called on 15-18 year olds to enter a competition aimed at rediscovering history and the past. Their stories were to be based on easily available materials: for research, they could use both official written documents and materials held in family archives. They could also use oral histories.

"My Ancestor at My Age" – What were young people like in 20th century Georgia? How would you imagine this? What would you have been like at the time of Georgia's first republic in 1918-1921? What do you think school children did in their free time when Georgia was a Soviet republic? What obstacles would they have faced? Do you have any idea how young people of your age coped during the difficult times in the 1990s when Georgia regained independence? What did they learn from the many challenges of this period? What kind of hobbies and excitement did they have and what troubled them the most? What was their everyday life like and how would it have differed in different periods of the 20th century?

If you would like to answer these questions, then ask your parents, your grandparents, your neighbours, family friends or maybe the local baker or greengrocer. Listen to the stories of their youth in the last century and collect their memories. Enter the history competition "My Ancestor at My Age" in 2017/2018. You will not just have fun travelling in the past and making new discoveries; you will also have the chance to win a big prize. Win and you will get valuable prizes or have the chance to go to Berlin, to the History Camp!

The competition was open for three months, and once it closed, the organisers had the pleasure and honour of acquainting themselves with the entries. Altogether 56 school children took part in the competition and there were 47 entries.

This competition was an attempt to make history cross over from the official, national narrative and into descriptions of everyday life. In this way, school children themselves became researchers who had to find material and work with it. According to the rules of the competition, each entry had to be created under a teacher's guidance.

The competition aimed to raise pupils' interest in history as a subject and to increase their motivation to study it. History is not just facts and dates, and it is not stuck in the past; it has a big influence on everyday life. Creating history is something everyone can do around them. It was important for "hidden" history to be brought to light, that which is not apparent at first glance and slips through the fingers.

The language of the competition was Georgian, but those who wished could submit entries in Armenian, Russian or Azeri. Thus, the organisers of the competition were trying to encourage representatives of ethnic minorities to participate more actively without a language barrier.

Eventually, after prolonged argument and deliberation by the jury, three winners were identified. Given the high quality of the entries, it was decided that, together with the winning entries, another three would be published, for a total of six, all of which are collected here in this booklet.

This history competition is not a one-time event. The organisers are planning to use the same approach in the future too and hold activities that will again depict people in history and changes that have taken place in everyday life.

2017 թվականի դեկտեմբերի 25-ին Վրաստանում հարյուրավոր քաղաքացիներ դպրոցական շարադրությունների անցկացման մասին հաղորդագրություն ստացան: Տեքստը 15-18 տարեկան երիտասարդներին կոչ էր անում ակտիվորեն մասնակցել մրցույթին, որի նպատակն էր նորովի բացահայտել պատմությունն ու անցյալը: Նորությունները պետք է մատչելի լինեին: Որոնման արդյունքում կարելի էր օգտվել ինչպես պաշտոնական գրավոր փաստաթղթերից, այնպես էլ ընտանեկան արխիվներում պահպանված նյութերից: Կարելի էր նաև օգտագործել բանավոր պատմություններ:

«Իմ նախնիներն իմ տարիքում». ինչպիսի՞ն էր պատանին 20-րդ դարի Վրաստանում: Ինչպե՞ս եք պատկերացնում այս ամենը: Ինչպիսի՞ն կլինեիք Վրաստանի առաջին հանրապետության ժամանակ՝ 1918-1921 թվականներին: Ի՞նչ եք կարծում, ինչպե՞ս էին հանգստանում աշակերտները, երբ Վրաստանը Խորհրդային Հանրապետություն էր: Ի՞նչ խոչընդոտներ կունենային նրանք: Ունե՞ք արդյոք պատկերացում, թե ինչպե՞ս էին ձեր հասակակիցները դիմանում 1990-ական թվականների դժվար իրավիճակին, երբ Վրաստանը վերականգնեց իր անկախությունը: Ի՞նչ փորձ ձեռք բերեցին նշված ժամանակաշրջանի մարտահրավերներից: Ի՞նչ տեսակի նախընտրություններ ունեին և ամենից շատ ի՞նչն էր նրանց անհանգստացնում: Ինչպիսի՞ն էր նրանց առօրյան և ինչպես էր այն փոխվում 20-րդ դարի տարբեր ժամանակահատվածներում: Եթե ցանկանում եք պատասխանել այս հարցերին, ապա հարցրեք ձեր ծնողներին, տատիկներին, պապիկներին, հարևաններին, ընտանիքի հարազատներին կամ, միգուցե, հարևան հացթուխին, կամ բանջարեղեն և միրգ վաճառողին: Լսեք անցյալ դարի նրանց երիտասարդության պատմությունները և հավաքեք նրանց հիշողությունները: Մասնակցիե՛ք «Իմ նախնին իմ հասակում» 2017/2018 թվականների մրցույթին: Անցյալում ճանապարհորդելու հաճույքից և նորը բացահայտելուց զատ, դուք նաև կարող եք դառնալ մեծ մրցանակաբաշխության մասնակից: Հաղթե՛ք, ստացե՛ք նվերներ կամ Բեռլինում պատմության ճամբարին մասնակցելու հնարավորություն:

Պատմության մրցույթի այս հայտարարությունն ակտուալ էր 3 ամսվա ընթացքում: Մրցույթի ավարտից հետո կազմակերպիչները հնարավորություն ունեին ծանոթանալ աշխատանքներին: Մրցույթին մասնակցել են 56 դպրոցի աշակերտներ, ներկայացվել է 47 աշխատություն:

Այս մրցույթով փորձ էր արվում պաշտոնական և ոչ պաշտոնական աղբյուրների պատմություններից վերաձևակերպել առօրյա կյանքի բնութագիրը: Այս մոտեցմամբ աշակերտներն իրենք էին դառնում փորձագետներ, որոնք պետք է նյութեր փնտրեին և մշակեին դրանք: Մրցույթի պայմանների համաձայն՝ աշխատանքը պետք է ստեղծվեր աշակերտի համակարգմամբ:

Մրցույթի նպատակն էր ավելացնել հետաքրքրությունը պատմություն առարկայի նկատմամբ, ինչպես նաև աշակերտների մեջ ուժեղացնել այս առարկան սովորելու շարժառիթները: Պատմությունը միայն փաստեր և թվականներ չեն անցյալում մնացած: Այն ամենօրյա կյանքի վրա մեծ ազդեցություն ունի: Յուրաքանչյուրն իր շուրջ կարող է պատմություն ստեղծել: Կարևոր էր «թաքնված» պատմության բացահայտումը, մի բան, ինչն առաջին հայացքից չի երևում, չնայած, իրականում, անհասանելի է:

ВВЕДЕНИЕ

25 декабря 2017 года несколько сотен человек получили сообщение о том, что проводится исторический конкурс для школьников. Текст объявления призывал людей в возрасте 15-18 лет принять участие в конкурсе, чтобы заново открыть для себя историю и прошлое. Истории должны были быть доступными, такими, чтобы материалы к ним легко можно было найти либо в официальных письменных документах, либо в семейных архивах. Также можно было использовать устные истории.

«Мой предок – мой ровесник». Какими были молодые люди Грузии XX века? Как вы себе представляете эти времена? Какими были бы вы в 1918-1921 гг., во времена первой Грузинской Республики? Как вы думаете, как школьники проводили свой досуг, когда Грузия была республикой в составе СССР? Какие препятствия могли быть у них на пути? Можете ли вы себе представить, как молодые люди вашего возраста пережили трудные времена в 1990-е, когда Грузия обрела независимость? Какой опыт они приобрели, сталкиваясь со многими вызовами этого времени? Чем они увлекались, что их волновало и беспокоило больше всего? Какова была их повседневность и как она менялась в различные периоды XX века?

Если вы хотите знать ответы на эти вопросы, расспросите родителей, бабушек и дедушек, соседей, друзей семьи, а можно и человека, который печет хлеб или продает овощи на вашей улице. Послушайте истории их молодости из прошлого века, запишите их воспоминания. Примите участие в историческом конкурсе «Мой предок – мой ровесник» 2017/2018. Вы испытаете не только радость от путешествия в прошлое и новых открытий, но и свой шанс получить большое вознаграждение. Станьте победителем, выиграйте ценные призы или поездку в Исторический лагерь в Берлине!

Участники могли присылать свои работы на конкурс в течение трех месяцев. По прошествии этого срока, организаторы имели честь и удовольствие ознакомиться с работами конкурсантов. Всего в конкурсе приняли участие 56 школьников, от которых поступило 47 работ.

Данный конкурс был попыткой перенести фокус истории с официального национального нарратива на описание повседневности. Таким образом, школьники сами превращались в исследователей, находили и обрабатывали материалы. По правилам конкурса, работа должна была быть выполнена под руководством учителя.

Целью конкурса было повышение интереса к истории, как к предмету, и усиление мотивации ее изучения среди школьников. История – это не только факты и даты и она не застывает в прошлом. Она сильно влияет на нашу повседневность. Каждый может творить вокруг себя историю. Нам важно было пролить свет на «скрытую» историю, неочевидную на первый взгляд, ускользающую.

Языком конкурса был грузинский. Желающие могли также присылать работы на азербайджанском, армянском или русском языках. Таким образом, организаторы хотели способствовать тому, чтобы представители этнических меньшинств активнее участвовали в конкурсе, и сделали так, чтобы им не мешал языковой барьер.

В итоге жюри конкурса, после долгих споров и обсуждений, выявили трех победителей. Учитывая высокое качество присланных работ, было решено, что вместе с работами победителей будут опубликованы еще три работы, всего шесть. Эти работы представлены в настоящей брошюре.

Данный исторический конкурс – не единичное событие. Организаторы планируют и в дальнейшем проводить подобные мероприятия, в которых будет отражен человек в истории и то, как меняется наша повседневность.

MÜQƏDDIMƏ

2017-ci ilin dekabrın 25-də Gürcüstanda bir neçə yüz adama məktəb şagirdləri üçün tarix müsabiqəsinin başlaması ilə bağlı mesaj/bildiriş gəldi. Bildiriş mətni 15-18 yaşlı insanları müsabiqədə fəal iştirak etməyə çağırırdı. Müsabiqənin məqsədi tarixi və keçmişi yenidən kəşf etməkdi. Əhvalatlar əlçatan olmalı idilər. Onları axtarmaq üçün rəsmi yazılı sənədlərdən, ailə arxivlərində qorunan materiallardan istifadə etmək olar, şifahi tarixçələri də qeyd etmək mümkün idi.

„Əcdadım mənim yaşımda olarkən" – 20-ci əsrin Gürcüstanında gənclər necə idilər? Bunu necə təsəvvür edirsiniz? Gürcüstanın birinci respublikası dövründə, 1918-1921-ci illərdə, necə idi ? Gürcüstan sovet respublikası olanda şagirdlər necə istirahət edirdilər? Nə kimi maneələrlə üzləşirdilər? Sənin yaşında olarkən 1990-cı illərdə, Gürcüstan müstəqilliyini bərpa edəndə, cavanlar nə kimi çətinliklərin öhdəsindən gəlməli olurdular? Qeyd olunan dövrün bir çox çətinliklərindən nə kimi təcrübə qazandılar? ən çox can atdıqları və ən çox narahat olduqları məsələlər nə idi? Onların gündəlik işlərini təşkil edən nə idi və həmin işlər 20-ci əsrin müxtəlif dövrlərində necə dəyişirdi?

Əgər bu suallara cavab vermək istəyirsinizsə valideynlərinizdən, nənələrinizdən, babalarınızdan, qonşularınızdan, ailə dostlarından və s. soruşun. Çörəkçidən, meyvə-tərəvəz satandan da soruşa bilər, xatirələrini qeyd edə bilərsiniz. 2017-2018 "Əcdadım mənim yaşımda olarkən" adlı müsabiqəsində iştirak edin. Bununla sən nəinki keçmişə səyahət etməklə və yeni şeyləri kəşf etməklə həzz alacaqsan, həmçinin, böyük mükafatların iştirakçısı da ola biləcəksən. Qalib gəl, qiymətli hədiyyələr qazan ya da Berlinə tarix düşərgəsinə getmək şansını əldə et!

Tarix müsabiqəsinin bu elanı 3 ay ərzində aktual idi. Müsabiqə bitdikdən sonra isə təşkilatçılar daxil olan yazılarla tanış olmaq şərəfinə nail oldular. Müsabiqədə ümdə 56 məktəb şagirdi iştirak etdi və 47 yazı daxil oldu.

Qeyd olunan müsabiqə tarixin rəsmi, milli narativdən gündəlik həyatın təsvir olunmasına bir cəhddi. Bu cür yanaşma ilə şagirdlərin özləri tədqiqatçılara çevrilirdilər – material axtarıb, özləri işləməliydilər. Müsabiqənin şərtlərinə görə, yazı müəllimin mentorluğu ilə yaradılmalı idi.

Müsabiqənin məqsədi bir fənn kimi tarixə marağın yüksəldilməsi və şagirdlərdə motivasiyanın gücləndirilməsi idi. Tarix yalnız faktlardan və rəqəmlərdən ibarət deyil və yalnız keçmişdə qalmamışdır. Onun bu günki həyatımıza da böyük təsiri vardır. Öz ətrafında hamı tarix yarada bilər. Burda ən böyük əhəmiyyəti "gizli", hər an nəzərə çarpmayan tarixi üzərə çıxartmaq kəsb edirdi.

Müsabiqənin dili gürcücə idi. Lakin arzu edənlər yazılarını azərbaycan, rus və erməni dillərində də göndərə bilərdilər. Müsabiqənin təşkilatçıları bununla etnik azlıqların nümayəndələrinə dəstək vermək istəyirdilər. Sonunda, münsiflər heyətinin uzunmüddətli bəhsi və müzakirəsi nəticəsində 3 qalib elan olundu. Yazıların yüksək keyfiyyətindən irəli gələrək, qalib olan yazılarla birlikdə 3 yazının da əlavə çap olunmasına qərar verildi. Ümumilikdə 6 yazı bu kitabçada yer almışdır.

Qeyd olunan müsabiqə yenə elan olunacaqdır. Təşkilatçılar bu cür yanaşma ilə bənzər aktivlikləri gələcəkdə də keçirmək arzusundadırlar. Həmin müsabiqədə tarixdə və gündəlik məişətdə insan həyatında baş verən dəyişikliklərin əks olunması aktual olacaqdır.

ჟიურის შესახებ

პროექტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო კომპეტენტური ჟიურის არჩევა, მათთან ინტენსიური მუშაობა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ჟიურის წევრები არ უნდა ყოფილიყვნენ აუცილებლად ისტორიკოსები, უნდა სცოდნოდათ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოწვევები და ტენდენციები. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შედგა ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ოლივერ რაისნერი
ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის პროფესორი

ელენე მეძმარიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მანანა შეყილაძე
ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია.

ნინო ბესელია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ნუკრი შოშიაშვილი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

თამარ თავაძე
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის წევრი,
ისტორიკოსი და ჟურნალისტი.

ირაკლი ხვადაგიანი
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის გამგეობის თავმჯდომარე.

თავდაპირველად შედგა ჟიურის წევრების გაცნობითი შეხვედრა და კონკურსის პირობებზე შეთანხმება. კრიტერიუმებზე შეთანხმება ხანგრძლივი დისკუსიების, კამათისა და აზრთა შეჯერების შედეგად მოხდა. ორგანიზატორები მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციას ჟიურის წევრებს კონკურსის მიმდინარეობის შესახებ. შემოსული ნაშრომები ჟიურის წევრებმა გადაარჩიეს. შედგა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც განიხილეს 20 ნაშრომი. ამ ნაშრომებიდან უკვე აირჩა და გამოვლინდა 3 საუკეთესო.

შეხვედრები ტუტორებთან

პროექტის ფარგლებში თავიდანვე იყო განსაზღვრული მოსამზადებელი სამუშაოები ტუტორებისათვის, რადგან კონკურსის სპეციფიკა და სიახლეები მოითხოვდა სპეციალურ ტრენინგებს, რომელთა დროსაც განხილული იქნებოდა ის თემები და მეთოდოლოგია, რაც სკოლის პროგრამით არ იყო განსაზღვრული. ამ პროექტიდან გამომდინარე, ჩვენ სრულიად განსხვავებულ თემატიკას და, შეიძლება ითქვას, ისტორიის განსხვავებულ მიმართულებას შევეხეთ, როგორიცაა მე-20 საუკუნის ისტორიული მეხსიერება,ზეპირი ისტორიები და მათთან დაკავშირებული მიდგომები. ამ ტრენინგების ძირითადი მიზანი იყო, ისტორიული მეხსიერების შესახებ მოსამზადებელი ვორკშოპები ჩაგვეტარებინა პედაგოგებისათვის, რომლებიც ჩაერთვებოდნენ კონკურსის მომზადებაში. გვსურდა, მათთვის გაგვეცნო, როგორც წყაროებზე მუშაობის სპეციფიკა, ისე სიახლეები მეთოდოლოგიაში. უნდა ითქვას, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებში ეს თემა ჯერაც არაა განხილული. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ განსხვავებულ თემატიკაზე აგვეგო კონკურსის შინაარსობრივი დატვირთვა, როდესაც მოსწავლეები შეძლებდნენ დამოუკიდებელი აზრის განვითარებას და კრიტიკულად გაიაზრებდნენ მასალას, რასაც თავადვე მოიპოვებდნენ კვლევა-ძიების შედეგად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგები, რომელიც „მასწავლებლის სახლის“ მიერაა ორგანიზებული ისტორიის მასწავლებლებისათვის, არასაკმარისია და ზედაპირულია მათი პროგრამული დატრენინგებისთვის, არამცთუ განყენებული თემების სწავლებისათვის. ამაში ვგულისხმობთ საგნობრივ ტრენინგებსაც და მეთოდოლოგიურსაც.

ჩვენს ტრენინგებზე სხვადასხვა რაიონიდან იყვნენ მოწვეულნი ისტორიის პედაგოგები. ტრენინგებს წინ უძღოდა პროექტის გაცნობითი შეხვედრა და შემდეგ უკვე სპეციალური ტრენინგები მასწავლებლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გაცნობით შეხვედრაზე პედაგოგები ამ ნოვაციას ინტერესით შეხვდნენ, მაგრამ ფრთხილობდნენ, ამ კონკურსს მოსწავლეთა დაბნევა არ გამოეწვია, რადგან მათი თქმით, ისინი არ იყვნენ მიჩვეული არქივებითა და ბიბლიოთეკებით სარგებლობას, რეგიონებში კი ინტერნეტზე წვდომაც კი პრობლემა იყო. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევთავაზეთ, გაეკეთებინათ 2-3-კაციანი მოსწავლეთა ჯგუფები, რომლებიც გაინაწილებდნენ დავალებებს და ერთად შეასრულებდნენ სამუშაოს. რაც შეეხება მასწავლებელთა სპეციალურ ტრენინგებს, რომელთა დროსაც დატრენინგდა 100 პედაგოგი, როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან – უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრენინგებზე დასწრების მსურველი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ეს ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში იყო გათვალისწინებული.

პირველი ვორკშოპი: 2017 წლის 1 სექტემბერი – დვვ-ს ოფისი, 31 მონაწილე;

მეორე ვორკშოპი: 2017 წლის 23 სექტემბერი – დვვ-ს ოფისი, 28 მონაწილე;

მესამე ვორკშოპი: 2017 წლის 4 ნოემბერი – მოზრდილთა განათლების ცენტრი ახალქალაქში, 9 მონაწილე;

მეოთხე ვორკშოპი: 2017 წლის 5 ნოემბერი – მოზრდილთა განათლების ცენტრი ახალციხეში, 15 მონაწილე;

მეხუთე ვორკშოპი: 2017 წლის 2 დეკემბერი – სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი მარნეულში, 16 მონაწილე.

ვორკშოპების დღის წესრიგი იყო ერთი და იგივე, მათი მიზანი იყო, დავრწმუნებულიყავით, რომ მასწავლებელთა ცოდნის დონე იქნებოდა თანაბარი ტრენინგების ჩატარების შემდეგ. პირველ ნაწილში დავით ჯიშკარიანი (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია) ატარებდა პრეზენტაციას: „როგორ გამოვიყენოთ ზეპირი ისტორია, არქივები, გაზეთები, ინტერვიუები, როგორც განსხვავებული წყაროები და მასალები კონკურსის დავალებისათვის“. ამას მოჰყვებოდა ნანა ციხისთავის ლექცია - „დიდაქტიკა, მეთოდოლოგია, ორგანიზაციული ნაბიჯები: როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს დაგეგმვაში, კვლევასა და სამუშაოს რეალიზებაში; შეფასების კრიტერიუმები და კონკურსის ნაშრომების შემოწმება“. დავით ჯიშკარიანის პრეზენტაცია პრაქტიკაზე ორიენტირებული იყო, ილუსტრირებული მრავალი მაგალითით მისი ყოველდღიური სამუშაოდან არქივებსა და ბიბლიოთეკებში, ხოლო ნანა ციხისთავი ყურადღებას ამახვილებდა თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე და იძლეოდა ყველა საჭირო ინფორმაციას კონკურსთან დაკავშირებით. ეს იყო კარგი კომბინაცია იმისათვის, რომ პედაგოგები მომზადებულიყვნენ ამ სამუშაოს შესასრულებლად.

მონაწილეთა შესარჩევად პასუხისმგებელი პირი იყო ნანა ციხისთავი. მან გამოიყენა თავისი ქსელი იმსა(ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია), რათა ვორკშოპებზე დასასწრებად შესაფერისი და მოტივირებული მასწავლებლები მოეძებნა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უფრო მეტი მასწავლებელი ყოფილიყო მიწვეული საქართველოს რეგიონებიდან და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ პედაგოგებსა და მათ ჩართულობას კონკურსში.

პრეზენტაციებს თან ახლდა ცოცხალი და აქტიური დისკუსია, როგორც აღნიშნულ თემებზე, ისე, ზოგადად ისტორიის სწავლების პრობლემებზე, განსაკუთრებით იმ მდგომარეობაზე, რაც სადღეისოდ რეგიონებში დგას ისტორი-

ის დიდაქტიკაში მასწავლებელთა გადამზადების თვალსაზრისით, ძირითად პრობლემებზე და გადამზადების არსებულ მინუსებზე.

ტრენინგებმა და რეგიონებში პედაგოგებთან შეხვედრებმა დაგვანახა ის გამოწვევები და სირთულეები, რაც შეიძლებოდა გამოვლენილიყო კონკურსის შედეგებში.

ინტერვიუები ნანა ციხისთავსა და კატიე ფრაუზესთან

ინტერვიუს შეკითხვები პარტნიორი ორგანიზაციებისათვის – ნანა ციხისთავი (იმსა)

1. რატომ იღებს თქვენი ორგანიზაცია მონაწილეობას ამ თანამშრომლობით პროექტში, რომლის მიზანია ისტორიის კონკურსის იმპლემენტაცია საქართველოში?

კონკურსი არის ისტორიის სწავლების საშუალება, რადგან ის სტუდენტებს უფრო გახსნილებს, ორგანიზებულებს და კრეატიულებს ხდის, აძლევს მოტივაციას, რომ აწარმოონ ინდივიდუალური კვლევა და მიიღონ აქედან შედეგები. ესაა ნაბიჯი ისტორიის საგნის მიმართ მათი მომავალი ინტერესისაკენ. ამ თვალსაზრისით, იმსა არის ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული ასოციაცია და მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს და გააუმჯობესოს ისტორიის სწავლება სკოლებში სხვადასხვა აქტივობების კეთებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა კი არის ისტორიის კონკურსი.

2. რა არის თქვენი პერსონალური ინტერესი/მოტივაცია, რათა ხელი შეუწყოთ ამ სახის კონკურსს? რატომ ჩაერთეთ ამ პროექტში და ვინ გირჩიათ?

ჩემი პერსონალური ინტერესია, რომ დავეხმარო, ხელი შევუწყო, რადგან მე ისტორიის პედაგოგი ვარ. მე ვმუშაობ ისტორიის განათლების სხვადასხვა მიმართულებით და ვიცი, რომ ისტორიის კონკურსი პოზიტიურად აისახება ისტორიის განათლების ხარისხზე, მოსწავლეთა ცოდნისა და თვალსაწიერის გაფართოებზე.

3. არსებობს ისტორიის კონკურსის სხვა ფორმატები მოსწავლეებისათვის საქართველოს სკოლებში, როგორიცაა ოლიმპიადა. რატომ არის საჭირო, რომ იყოს სხვა, განსხვავებული კონკურსი და რა არის ამის სპეციფიური მახასიათებელი? რა არის თქვენი მიზნები კონკურსის ამ პირველი რაუნდისათვის?

ამ კონკურსის მიზნებია, მოსწავლეები დააფიქროს თემებზე, რომლებიც არ არის დამუშავებული ისტორიის სახელმძღვანელოებში, უბიძგოს, გამოიყენონ ინტერპრეტაციები, მულტიპერსპექტიულობა, კრიტიკული აზროვნება, მოიძიონ უახლესი წყაროები.

4. რატომ შეარჩიეთ თემა „ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში მე-20 საუკუნეში“ პირველი კონკურსისათვის? რა იყო პირველი რეაქცია ამ თემაზე მასწავლებლების, ჟიურის წევრების, საზოგადოების მხრიდან?

ჩვენ წამოვწიეთ ასეთი თემა, რადგან ის არ ისწავლება და არც სკოლებში მსჯელობენ მასზე; გვინდოდა, გვეჩვენებინა მოსწავლეებისათვის, თუ როგორ ახდენს ისტორიული ეპოქა გავლენას ჩვეულებრივ ადამიანებზე და თუ რას აკეთებდნენ მათი წინაპრები ახალგაზრდა ასაკში; როგორი იყო მათი ცხოვრების სტილი, აზროვნება, შეგრძნება და მოქმედება.

მასწავლებლები ძალიან გაკვირვებულები იყვნენ კონკურსის სათაურის გამო, რადგან ძნელად გაისიგრძეგანეს მთავარი არსი და მნიშვნელობა ამ თემისა. იმავდროულად ჩვენ ბევრჯერ ვცადეთ, ტუტორების ტრენინგის დროს და ინდივიდუალური კონტაქტების დროსაც, აგვეხსნა მათთვის, რა იყო ამ კონკურსის ძირითადი მიზანი. მაგრამ მოგვიანებით, როდესაც მივიღეთ ნაშრომები, ნათელი გახდა, რომ უმრავლეს პედაგოგს არ ჰქონდა წარმოდგენა, როგორ ემუშავა თავის მოსწავლეებთან და რა გაეკეთებინა ნაშრომებში. რაც შეეხება ჟიურის წევრებს, მათ მოეწონათ სათაური, ძალიან მონდომებულები და მოტივირებულები იყვნენ, ემუშავათ თავიანთ პოზიციებზე.

5. რა იყო მთავარი გამოწვევები, რასაც შეეჯახეთ კონკურსისა და მისი აქტივობების მომზადებისა და იმპლემენტაციის დროს? რა გამოცდილება მიიღეთ ამ პროექტის განხორციელების დროს?

არ გაგვაჩნია ისტორიის მასწავლებლების მომზადების კარგად ორგანიზებული პროგრამები და რელევანტური რესურსები საქართველოს უნივერსიტეტებში, სადაც მასწავლებლებს ამზადებენ; ასევე არ გაგვაჩნია ახალგაზრდების მოტივაცია პროფესიად ისტორიის მასწავლებლობა აირჩიონ; ძალიან დაბალია ახალგაზრდების ინტერესი ისტორიის განათლების მიმართ (დღესდღეობით სამინისტროს პოზიცია და ახალი რეგულაციები: სწავლების საათები ისტორიაში სულ უფრო მეტად კლებულობს); ისტორიის სწავლება დღეს საქართველოში მნიშვნელოვანი არაა. რელევანტური მკვლევარებისა და პროფესიონალების არარსებობა, ისტორიის სწავლება ეფუძნება ნაციონალურ ნარატივს;

არ გაგვაჩნია ისტორიის დიდაქტიკა სხვა ნაციონალური და ეთნიკური ჯგუფების ენებზე, ეთნიკური ჯგუფების ისტორია არ გვაქვს შეტანილი ისტორიის სახელმძღვანელოებში;

ისტორიის დიდაქტიკაში არადამაკმაყოფილებელია და არასაკმარისი ტრენინგები ქართველი და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი მასწავლებლებისა;

6. რა იყო თქვენი ყველაზე მშვენიერი, ანდა გასაოცარი გამოცდილება კონკურსთან დაკავშირებით?

ყველაზე მშვენიერი გამოცდილება იყო კომუნიკაცია რეგიონის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, მათი მზარდი ინტერესი, რით დახმარებოდნენ კონკურსს და ასევე მათი კრიტიკა ჩვენი განათლების სისტემისა, მისი ნეგატიური მხარეებისა, აგრეთვე მოსაზრებები ისტორიის სწავლების თაობაზე სამომავლოდ და ამ კონკურსის მნიშვნელობაზე საერთო მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

ინტერვიუ კატია ფაუსერთან

ინტერვიუერის სახელი და გვარი: კატია ფაუსერი (Katja Fausser) კოერბერის ფონდის პროგრამების დირექტორი და EUSTORY (პროექტის პარტნიორთა კონსორციუმი) აღმასრულებელი დირექტორი

გერმანიის ისტორიის კონკურსს გააჩნია თავისი გრძელი ისტორია. იგი დაიწყო დასავლეთ გერმანიაში წინა საუკუნის ადრეულ 70-იანებში. რა სახის იდეა ედო ამას საფუძვლად და ვისი ინიცირებით მოხდა?

კატია ფაუსერი: 1970 წელს ახალგაზრდა თაობა უნდა გამკლავებოდა ფაშისტურ წარსულს, ჰოლოკოსტსა და მეორე მსოფლიო ომს. კურტ კორბერს, ვინც საფუძველი ჩაუყარა კორბერის ფონდს, სთხოვეს, რომ დახმარება აღმოეჩინა განსხვავებული ისტორიის მუზეუმის დაარსებაში, რათა ახალგაზრდებს გადაეაზრებინათ ისტორიული წარსული. ის ძალიან მოწადინებული იყო, დაეფინანსებინა პროცესი, რომ გერმანიაში ისტორიის აღქმა შეცვლილიყო, მაგრამ უმჯობესად მიიჩნია, დაეფინანსებინა უფრო აქტიური გზა ახალგაზრდებისათვის, რათა ისინი დაახლოვებოდნენ ისტორიას. ასე დაიწყო კორბერის ფონდის მიერ დაფინანსებული გერმანიის ისტორიის კონკურსის ტრადიცია, რომელიც გრძელდება დღევანდლამდე.

საქართველომ ახლახანს ჩაატარა პირველი საკონკურსო ტური და შედეგად მიიღო 47 ნაშრომი 57 მონაწილისგან. არის კი ეს იმედისმომცემი დასაწყისი?

დიახ, ესაა იმედისმომცემი დასაწყისი. ვულოცავ ყველა პარტნიორს, ადმინისტრაციის პერსონალს, მასწავლებლებსა და ხელისშემწყობებს, ვინც დახმარება გაუწია საპილოტე პროექტის წარმატებით წარმართვას!

2001 წლიდან მოყოლებული, „Eustory“ ქსელით კორბერის ფონდის მიერ ინიცირებულია და ჩატარებულია ეროვნული ისტორიის 20-ზე მეტი დამოუკიდებელი კონკურსი ევროპის მასშტაბით. ჩვენ ისტორიის ბევრი კონკურსის დასაწყისის მოწმენი ვიყავით ბოლო 20 წლის მანძილზე. ჩვენ ვიცით, რომ კონკურსის საწყის ფაზაში ნაშრომების რაოდენობა არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი არის ის, რომ რაღაც დაიწყო და შეაფასო გამოცდილება ექსპერტებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად.

რა არის ხშირად მთავარი გამოწვევები ისტორიის კონკურსის განხორციელებაში?

„Eustory“ კონკურსის ბევრი პროექტი დაიწყო მცირე ინიციატივებით, ისინი

ხორციელდებოდა მცირე რაოდენობის ენთუზიასტების ხარჯზე, რომლებსაც სურდათ, თავიანთ ქვეყნებში ახალგაზრდებისათვის გაეკეთებინათ სპეციალური შეთავაზება, რომლებიც დაინტერესდებოდნენ, მოეძიებინათ პასუხები კითხვებზე წარსულიდან. იმისათვის, რომ დააფუძნო დიდ პერიოდზე გათვლილი პროექტი, საჭიროა ჩამოაყალიბო დამხმარეების ფართო ალიანსი – უპირველეს ყოვლისა, ტუტორების ქსელი, მაგრამ აგრეთვე საჭიროა ინსტიტუციებიც, როგორიცაა არქივები, მუზეუმები, მემორიალური ადგილები. ასევე მათთვის, ვისაც უნდა, რომ შეაგულიანოს მოსწავლეები თავიანთ ინსტიტუციებში სამუშაოდ, რა თქმა უნდა, დაფინანსება გადამწყვეტია. ,,ეუსტორის“ ზოგ კონკურსს ჰყავს თავისი მთავარი დონორი, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი დაფინანსებას სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ.

როგორ ხედავთ გარედან, რატომ სჭირდება ისტორიის ასეთი სახის კონკურსი საქართველოს? რა შეიძლება იყოს მისი სარგებელი?

კატია ფაუსერი: გარე პერსპექტივიდან ამას პასუხს ვერ გავცემთ, პირველ რიგში, ეს არის შიდა კითხვა ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ისტორიებთან ერთად, მაგრამ „ეუსტორში“ ჩვენ ვენდობით მეთოდს ისტორიის ექსპერიმენტული სწავლებისა და საპროექტო მუშაობის შესახებ. ჩვენი გამოცდილებით, ის წარმატებით გამოიყენება ახალგაზრდების გასანათლებლად, კვლევის კომპეტენციებითა და მნიშვნელოვანი უნარებით მათ აღსაჭურვად. ასეთია მათთვის თავიანთი პროექტის ორგანიზება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია სწავლება, როგორ გაუმკლავდნენ მულტიპერსპექტიულობას. გარდა ამისა, ნაციონალური ნარატივებისთვის ადგილობრივი და ოჯახური ისტორიის ძიების პერსპექტივა უკავშირდება ისტორიული განათლების გავლენის გაჯანსაღებას. როგორი იყო ცხოვრება ჩემს პატარა მშობლიურ სოფელში? რა ისტორია გააჩნია ძეგლს ჩემი ქუჩის ბოლოში? ისეთ კონკურსში მონაწილეობა, როგორიც თქვენია, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, რომ თავიანთი ცხოვრება დაუკავშირონ ეროვნული ისტორიის იმ დიდ სურათს, რომელსაც მხოლოდ სახელმძღვანელოებით იცნობენ.

რატომ ჩაერთო ამ პროექტის ფორმატში კორბერის ფონდი დვვ-სთან თანამშრომლობაში?

კატია ფაუსერი: კორბერის ფონდმა და დვვ-მ მცირე მასშტაბით 2014 წელს დაიწყეს თანამშრომლობა. ეს ერთობლივი ინიციატივა 2017-2018 წლებში შესანიშნავი საშუალება იყო, რომ კორბერის გამოცდილება ისტორიის კონკურსების ჩატარებისას შეეერთებინათ ადგილობრივი ბრწყინვალე ექსპერტებისა და და დვვ-ს აქტიური ქსელის საერთაშორისო მასშტაბთან, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მათ წარმომადგენლობასთან. ჩვენი ერთ-ერთი მოტივაცია, შეეერთებოდით ამ პროექტს, იყო „ეუსტორის“ ქსელისათვის ახალი პარტნიორების პოვნა.

გერმანიის კონკურსს ჰყავს ძალზე გავლენიანი „პატრონი” – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი. რა არის ამის მიზეზი და როგორ მონაწილეობს იგი კონკურსში?

კატია ფაუსერი: წინა ფედერალური პრეზიდენტი, გუსტავ ჰეინემანი გერმანიის ისტორიის კონკურსის ერთ-ერთი ინიციატორი იყო 1973 წელს. მას შემდგომ, ყველა არჩეულმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, გაეგრძელებინა პატრონაჟი. ეს კონკურსი კორბერის ფონდის მიერაა ორგანიზებული და დაფინანსებული ადგილობრივი პარტნიორების დახმარებით. პრეზიდენტის ადმინისტრაცია აგზავნის ერთ დელეგატს კომიტეტში, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რა იქნება მომდევნო კონკურსის თემა, რომელსაც შემდგომ ოფიციალურად აცხადებს ფედერალური პრეზიდენტი. მოგვიანებით ის მასპინძლობს ეროვნული დაჯილდოების ცერემონიალს.

როდესაც თქვენ მომავალს უცქერთ, როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა 10 წლის შემდეგ ასეთი სახის ისტორიის კონკურსი საქართველოში? როგორ უზრუნველვყოთ ქართული ისტორიის კონკურსის ხანგრძლივი მიმდინარეობა?

კატია ფაუსერი: მე ვიმედოვნებ, რომ ეს საპილოტე პროექტი კარგ ბაზისს მოამზადებს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ და რამდენად იქნება შესაძლებელი საქართველოსთვის ბენეფიციური განგრძობითობა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ქვეყანამ შეიმუშავოს კონკურსის დიზაინი, რომელიც აკმაყოფილებს არა მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნებს: (ისტორიის) მასწავლებელთა კურიკულუმს, სასკოლო სისტემას, საჭიროებებს და ვალდებულებებს, არამედ პასუხობს საერთო კითხვებზე, როგორიცაა ადგილობრივი ან ოჯახური ისტორიის როლი საზოგადოებაში ან გარკვეული საკითხები, რომლებიც უნდა დადგეს მომავალ თაობასთან. „Eustory“ მზადაა, დაეხმაროს ნაციონალურ აქტივობებს ევროპული ქვეყნებიდან საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით, კონკურსის სხვა ორგანიზატორებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობით და ჩვენი ეროვნული პარტნიორების დაფინანსების სტრატეგიის მხარდაჭერით.

არის თუ არა პერსპექტივა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში გახდება „Eustory“ ქსელის წევრი? რა პირობებია ამისათვის საჭირო?

„Eustory“ ღიაა ეროვნული ისტორიის კონკურსების პროექტებისათვის, რომლებიც ტარდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ინიციატივები უნდა აისახოს კონკრეტულ პროექტებში და დასრულდეს ერთი გარკვეული წარმატებული კონკურსის შედეგებით. ამგვარად, ვნახოთ, ვიკონტაქტოთ, ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველო შეძლებს შეუერთდეს ჩვენს ქსელს!



გამარჯვებულების ესეები

მარიამ დანგაძე, 17 წლის, ქ. ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლა, მე-12 კლასი, პედაგოგი: მზია ბუბაშვილი.

რუსუდან ჯანჯალაშვილი, 17 წლის, თბილისის 63-ე საშუალო სკოლა, მე-12 კლასი, პედაგოგი: მეგი კურტანიძე.

ქეთი ნაგლაძე, 15 წლის, ნ. ახალკაცის სახელობის ქ. თბილისის მე-9 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი, პედაგოგი: თინათინ შიშნიაშვილი

სალომე ვარამიშვილი, 16 წლის, გოგიტა კიკნაძის სახელობის სსიპ ქალაქ თბილისის 182-ე საჯარო სკოლა, მე-10 კლასი, პედაგოგი: ეკა გორგაძე

ია ფანგანი, 16 წლის, მესტიის რაიონის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა, მე-10 კლასი, პედაგოგი: გიორგი გვასალია.

სოსო კორძაია, 17 წლის, მესტიის რაიონის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა, მე-12 კლასი, პედაგოგი: გიორგი გვასალია

მარიამ ღანღაძე, 17 წლის,
ქ. ქუთაისის მე-7 საჯარო
სკოლა, მე-12 კლასი,
პედაგოგი: მზია ბუბაშვილი.



პავლე დანგაძე

1918 წელი ისტორიაში დიდი ძვრებისა და გადატრიალებების სახელით შევიდა. ჩვენს ოჯახს კი ახალი წევრის გაჩენით დაამახსოვრდა.

თითქოს კანონზომიერება აღდგაო, ოჯახში წევრთა რაოდენობა არ შეიცვალოსო და სულ ახლახანს დაქვრივებულმა, ორსულად დარჩენილმა ანასტასიამ მეოთხე ბიჭი მოავლინა ქვეყანას. ზუსტად არ ვიცით, რა დღეს გაისმა პავლეს პირველი ვაი-ვაში ამქვეყნად მოვლინების გამო, თუმცა დანამდვილებით გეტყვით, ბედნიერი დღე ნამდვილად არ ყოფილა და თუ სადმე მართლაც არსებობს საამქრო, სადაც ამ საქმეში ფრიად დახელოვნებულნი მავანნი ჩვენს ბედებს სჭედენ, იმ დღეს ნამდვილად ცუდ ხასიათზე გახლდნენ, ჯავრი კი ერთ პატარაზე ამოუყრიათ (ცუდია, ამის თქმა ამბის დასაწყისშივე რომ მიწევს, მაგრამ უნდა გესმოდეთ, ყველა იმედი აქვე დატოვეთ).

რუსეთი ტყუპზე ყოფილა ფეხმძიმე და სულ მალე ძლიერმა ძმამ სუსტი მოაშთო (მიხეილ ჯავახიშვილი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (1924). პავლე დანგაძე კი ეულად მოევლინა ქვეყანას და ასევე იცხოვრებდა ყველა იმ წლის განმავლობაში, როცა ძლიერი ტყუპისცალი ზემოთ ხსენებულ საამქროში კადრებს ცვლიდა და თავად წარმართავდა ყველას ბედისწერას.

ქუთაისში მაშინდელ აგურის ქუჩას ახლა კიკვიძისა ჰქვია. აგურისად რატომ იწოდებოდა, ადვილი მისახვედრია – ქალაქში მთავარი აგურის საამქრო სწორედ აქ მდებარეობდა.

ჩვენი ქუჩის ყველაზე მოხუცი მცხოვრები მოგვითხრობდა: გასული საუკუნის დასაწყისში თურმე ქუთაისში მეტი და მეტი ადამიანი სახლდებოდა და აგურისთვის რიგები მეორე ქუჩაზეც იჭიმებოდაო. თუმცა ვინც ამას ჰყვებოდა, ისიც გადმოცემით ფლობდა ამ ინფორმაციას, როგორც მე ვიცი ბევრი რამ რიგების შესახებ, ოღონდ უფრო ყოველდღიურ პროდუქტთან კავშირში და ბევრად უფრო ახლოს ჩვენს დროსთან, ვიდრე აგურის საამქროსთან მისული ბოლო მყიდველი – გამყიდველთან.

სწორედ აგურის ქუჩაზე გაატარა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი პავლე დანგაძემაც. ოჯახური გადმოცემის თანახმად, მხიარული, ენამოსწრებული და გონიერი ყმაწვილი იყო, თუმცა ეს დახასიათება ლამის ასი წლისაა, შესაბამისად, არ გამიკვირდება, თუ დროის მანქანით წარსულში გადასროლილს სრულიად განსხვავებული სურათი დამხვდება. მაგრამ არსებობს კიდევ რამდენიმე ისტორია, რომლებიც მას უკეთ წარმოგვიჩენს, ვიდრე ნებისმიერი ეპითეტი.

როგორც ამბობენ, 17 წლის პავლეს ერთი მშვენიერი ასული ჩავარდნია გულში. ამ გოგონას სახელი და გვარი, მისამართი ან რაიმე სხვა ცნობა მისი იდენტიფიცირებისთვის არ შემოგვრჩა, ვიცით მხოლოდ ის, რომ აგურის ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა და პავლეს მიმართ გრძნობების ნაკლებობას განიცდიდა.

ეს ფაქტი კი, დარწმუნებული ვარ, შეურაცხყოფდა თავმომწონე მოზარდის პატივმოყვარეობას. არსებული გადმოცემის თანახმად, გოგონას ოჯახში პავლე სასიძოდ არ სურდათ და მათ ურთიერთობას ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ.

საოჯახო მეხსიერებაში შემოგვრჩა კიდევ ერთი ფაქტი იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა პავლემ უფროს ძმას ფული სთხოვა ბილეთების საყიდლად. ეს ბილეთები კი შემდგომში სახლის ეზოში დაწვა. ეს ისტორიები ბავშვობიდან მესმოდა, შესაბამისად, დრო მქონდა მათ გასააზრებლად. სწორედ ამიტომ ძალიან მეეჭვება, ჩემი ასაკის ბიჭს ეყიდა ბილეთები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დაეწვა.

ამ ამბისთვის მეტი სინათლის მოსაფენად ქუთაისის ბიბლიოთეკას ვეწვიე, სადაც „სტალინელის“ 1935 და 1936 წლების ნომრების გაცნობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ 1936 წლის 11 მარტს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ეწყობოდა გრანდიოზული ბალ-მასკარადი, სადაც სპეციალურად მოწვეული ტფილისური ჯაზი დაუკრავდა, საუკეთესო კოსტიუმებში გამოწყობილთ კი 500 მანეთით დააჯილდოვებდნენ*. ამ განცხადების ბოლოს მითითებული იყო, რომ დაწვრილებით ინფორმაციის მისაღებად აფიშები უნდა გვეხილა, თუმცა, სამწუხაროდ, ისინი უკვე აღარ არსებობს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, პავლეს მიჯნურის დაპატიჟება ამ ბალზე არ სურდა და რომელიმე სხვა ღონისძიებაზე იწვევდა, მაგალითად, ხმოვან ფილმზე „შიგ პარიზში“, რომელიც ამავე პერიოდში კინო „კომუნაში“ გადიოდა, მაგრამ ფაქტი ერთია, მას ნამდვილად ჰქონდა ქალაქის რომელიღაც ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები, თანაც აუცილებლად 1935 ან 1936 წელს, რადგან 1937-ში მისი უფროსი ძმა, დავითი გადაასახლეს და მას, უკან დაბრუნებულს, უმცროსი ძმა აღარასდროს უნახავს. კიდევ ერთი რამაა აშკარა, პავლეს გრძნობებს პატივი არ სცეს და ვინ იცის, როგორ დაამცირეს კიდეც, ახალგაზრდა კაცმა ხომ ბილეთები ცეცხლს მისცა.

პავლეს ცხოვრების შემდგომი ეპიზოდები ბურუსითაა მოცული, ოჯახში წლობით შენახული ფოტო გვაუწყებს, რომ მან 1937 წელს „ქუთაისის ინდუსტრიული მუშფაკი“ დაასრულა.

შემდეგ ტყუილი და მართალი ერთმანეთს ერევა და მათ შორის საზღვრის გავლება ფრიად ძნელდება, ამბობენ, ჯარში წაიყვანეს, იქიდან კი ზამთრის ომში მოუწია ბრძოლაო. შესაძლოა, ასეც იყო, რადგან ყველაზე სანდო წყაროს მიხედვით, პავლე ჯარში 1939 წლის ოქტომბერში გაიწვიეს, ასდღიანი ომი კი 1939 წლის 30 ნოემბერს დაიწყო. მაგრამ ეროვნულ არქივში ან ქუთაისის კომისარიატში არანაირი დამადასტურებელი ცნობა არ ამოიპოვება იმის შესახებ, რომ იგი მართლაც მონაწილეობდა რუსეთ-ფინეთის დაპირისპირებაში.

ოჯახური თეორიის მიხედვით, პავლე 1940 წელს სახლში დაბრუნდა (ესეც შეიძლება, ხსენებულ ომს ხომ წერტილი ამავე წლის 13 მარტს დაესვა). შინ

ჩამოსულს კი თავისი მშვენიერი სატრფო გათხოვილი დახვედრია. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაოდენ ეტკინებოდა მას გული, თუკი, რა თქმა უნდა, ცივ ქვეყანაში ნამყოფსა და ომგამოვლილს გული არ გაჰყინვია. ასეა თუ ისე, დადასტურებული ცნობები აქაც ნაკლებობას განიცდიან, თუმცა თუ ისევ და ისევ ჩემი ქუჩის ყველაზე მოხუც მცხოვრებს ვენდობი, ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო და პავლე რამდენიმე დღე იმდენად მოწყენილი ყოფილა, დედასაც არ სცემდა თურმე ხმას (აფსუს, მაშინ დეპრესიას არ იცნობდნენ და არც სოციალური ქსელები გააჩნდათ, თორემ ფაქტიც მეტი იქნებოდა და ემოციის ამსახველი პოსტიც).

ირონიულია, რომ პავლეს ცხოვრების შესახებ მხოლოდ ორი დადასტურებული ცნობა გვაქვს, ერთი დაბადებას ეხება, მეორე კი გარდაცვალებას. თითქოს ადამიანი ქვეყანას იმიტომ მოევლინა, რომ ბოლოს მისგან მხოლოდ სახელი, გვარი და მათ გვერდით ფრჩხილებში მიწერილი ორი ოთხნიშნა რიცხვი დარჩენილიყო (ისე ოდესმე დაინტერესებულხართ, რატომ წერენ დაბადება-გარდაცვალების წლებს ყოველთვის ფრჩხილებში, თითქოს ცხოვრებაზე დამატებით ინფორმაციას იძლევიან, არადა ერთობ არაფრისმთქმელია).

პავლეს შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაგებად კომისარიატში მისულს მომცეს ერთი საიტის მისამართი, სადაც შევძლებდი, ჩემთვის საჭირო ცნობები მეპოვა. ობდ-მემორიალ.რუ-ზე მართლაც ბევრი რამ წერია, მაგალითად, ის, რომ საბჭოთა კავშირმა სამამულო ომში გამარჯვება დიდი დანაკარგის ფასად მოიპოვა, რომ თითოეული მოქალაქის სიკვდილი დიდი ტრაგედიაა (არადა სხვაგვარი ციტატაც მსმენია, ერთი ადამიანის სიკვდილის ტრაგიკულობის, მრავალთა კი სტატისტიკად ქცევის შესახებ).

სწორედ ამ საიტიდან გავიგე, რომ პავლე ნიკოლოზის ძე დანგაძე 1941 წლის დეკემბერში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ოჯახში ცნობა არასდროს მოსულა, სახლის მისამართიც მითითებული იყო – აგურის 17, დედის სახელი და გვარიც და დაბადების წელიც.

მარტივი გამოდგა ადამიანებისთვის პატივის მიგება: შექმენი მათზე საიტი, შეადგინე მათი ელექტრონული სია, გახადე მათი მოძიება ყველასთვის ხელმისაწვდომი. უნდა ვაღიარო, ეს მართლაც საჭირო რამაა, თუმცა მის პრაქტიკულობასთან ერთად სევდიანია, შეხვიდე საიტზე, სადაც ადამიანები მართლაც მხოლოდ სახელებად, გვარებად და თარიღებად ქცეულან.

არ ვიცით და ვერც ვერასდროს გავიგებთ, რაზე ფიქრობდა ომში მიმავალი პავლე, ფიქრობდა, რომ დაბრუნდებოდა? ალბათ, კი, რადგან ეს იმედია, იმედი, რომელიც ყველას უღვივის ხოლმე გულში. შესაძლოა, უპასუხო სიყვარულით გულნატკენი სულაც სიკვდილის საძებრად მიემართებოდა. არაფერი ვიცით, ვერც გავიგებთ, ისევე, როგორც აღარასდროს გვეცოდინება მისი ნაყიდი ბილეთების ზუსტი წარწერა, სახელი გოგონასი, რომელიც უყვარდა, მიზნები და მისწრაფებები, რომლებიც გაჩნდა.

ერთი რამ ზუსტად ვიცი, შეუძლებელია, პავლეს წარმოედგინა, რომ მისი დაბადებიდან ზუსტად საუკუნის შემდეგ მისი უფროსი ძმის უმცროსი შვილიშვილი მის შესახებ ცნობებს შეაგროვებდა და მოინდომებდა, მეტი სცოდნოდა დიდი ხნის წინ დაკარგულ და ლამის დავიწყების მორევში გადაშვებულ სახელსა და გვარზე.

შემეძლო, ეს ამბავი „იყო და არა იყო რათი“ დამეწყო, მეტი ინტერესითაც წაიკითხავდით ალბათ, მაგრამ ტრაგიკულ ამბებს ასე არ იწყებენ, ომით დაღდასმული ისტორიები კი შეუძლებელია, ტრაგიკულნი არ იყვნენ. როგორც ყველა თინეიჯერს, პავლესაც ექნებოდა გარდატეხის ასაკი, ოცნებები და სხვადასხვა დამახასიათებელი თვისება, რომელთაგან დღეს უკვე აღარაფერია ცნობილი, მსგავსად მისი ცხოვრებისა, რომელიც ზედმეტად ხანმოკლე გამოდგა.

ომში გმირები არ იბრძვიან, ისინიც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივები არიან, ოდისევსები, აქილევსები და სხვები მხოლოდ გმირულ ეპოსებში არსებობენ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში კი მხოლოდ ადამიანები გვხვდებიან, რომლებიც რთულმა დროებამ საყვარელ სახლსა და ხალხს მოაშორა და სამუდამოდ გადაკარგა შორეულ მხარეში.

ჩუსუდან ჯანჯავაშვილი, 17 წლის
თბილისის 63-ე საშუალო სკოლა,
მე-12 კლასი
პედაგოგი: მეგი კუჩხანიძე.



ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში

კაცობრიობასთან ერთად ღვთისმშობლის წილნაყარმა პატარა ქვეყანამაც განვითარების რთული, გრძელი გზა განვლო. რასაკვირველია, ამ გზაზე მისი აზროვნება ერთგვარი არ იყო – პროგრესირებდა, ახალი მიმდინარეობა ჩნდებოდა, ძველი ახლებური ინტერპრეტაციით მეორდებოდა, იდეები იდეებს ენაცვლებოდა...

მგონია, რომ ისტორიის შესწავლისთვის საქართველო მეოცე საუკუნეში უდიდესი განძია, რადგან ეს პერიოდი ტკბილ-მწარე მოგონებების შეუდარებელი მაგალითია: უხვია ცრემლიანი ცოდნით, აღზევებით – „პატარა ოქროს ხანით“, შემდგომ გასაბჭოებით და კვლავ მოპოვებული „ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფით“ – თავისუფლებით... სწორედ მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა საქართველოს პირველი რესპუბლიკა, საფუძველი კონსტიტუციას – ეროვნული დამოუკიდებლობის მარგალიტს ჩაეყარა, ჩვენი სამშობლოს დღევანდელობა გადაწყდა.

ისტორია თვითშემეცნებაა – დაგვანახებს შეცდომებს, წვლილი შეაქვს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, გვპასუხობს კითხვებზე: „ვისი გორისა ვარ? როგორი იყო ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში? საიდან მოვსულვარ, საით გამიწევია“? ის ცხოვრების მასწავლებელია, საკუთარი თავის შეცნობაში შეუდარებელი დამხმარეა. ცხადყოფს, რა ნაჭრისგანაა აწმყოსა და წარსულის გამმიჯნავი ფარდა შეკერილი. „ისტორიაა საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“ (ილია). განსაკუთრებით გასული საუკუნის ისტორიაა მნიშვნელოვანი, რადგან ის ყველაზე ახლოსაა დღევანდელობასთან... ხომ უნდა ვიცოდე, სად გაჩერდა მამა, რომ მე, შვილმა, „იქიდამ დავიწყო ცხოვრების უღელის წევა“. ფასეულია, როცა იცი, როგორ დაიწყო დღე წარსულის გარიჟრაჟიდან და როგორ გრძელდება დღემდე...

სწორედ ამიტომ ვდგავარ ახლა სავარძელში მოკალათებული პაპას წინ. დედა ფუსფუსებს, ჩემი და როიალს მისჯდომია და პაპას საყვარელი რომანსის („მხოლოდ შენ ერთს“) დაკვრას შესჭიდებია. მამა ფიზიკის საკონტროლოებს ასწორებს, ჩემი მეგობარი კი, ნიკა, ვისაც მეოცე საუკუნის გამოკვლევა იდეაფიქსად ქცევია, ათასგზის შესწავლილ საბჭოთა ბონებს ათასმეერთედ დასცქერის.

მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ნიკა ნუმიზმატიკამ გაიტაცა. აუქციონებსა და იღბლიან სიტუაციებში წვალებით შეგროვებულ მონეტებსა და კუპიურებს თვალისჩინივით უფრთხილდება. ლორთქიფანიძის „სულის“ მსგავსად, მისი სამყარო იმ ალბომშია, რომელსაც ასე გულმოდგინედ ათვალიერებს. თითოეულის ყურთასმენა ჩვენკენაა მომართული, დაცქვეტილი იმ ქართველის ყურებივით, რომლამდეც, ის-ისაა, „დეპეშით მიღებულმა რევო-

ლუციამ“ მოაღწია.

– პაპაა, მომიყვები?

– რა მოგიყვე, შვილო?

– შენი წარსული... ბებოსი, მამის, მამიდის, მეზობლებისაც. აი, მათემატიკის ლექტორი რომ იყავი ჯავახიშვილში, ისიც. შოვში, ბაკურიანში, მოსკოვში რომ იყავით ჩემზე პატარა მამასთან და მამიდასთან ერთად, ისიც.

– არ გირჩევნია, განახო? – დროით დაღარულ შუბლზე თითქოს ნაოჭები აკლდება და ოდესღაც ჭროღა, ახლა ბუნდოვან, გაცისფრებულ თვალებში ეშმაკუნები უციმციმდება, იმ პატარა ბავშვივით, რომელსაც თავისი საყვარელი ნუგბარის აღწერას სთხოვენ.

– მინდა, აბა არ მინდა?

– „დროში მოგზაურის გენი“ გამოიყენე. უკვე დროა.

მშობლებს ცერად ეღიმებათ. ჩემი დაც მიჩვეულია ამ ტერმინს, ნიკა კი გაოცებით წევს თავს ალბომიდან და ისე იმეორებს: „დროში მოგზაურის გენი?“, როგორც „სამწლიან ოქროს ხანაში“ მცხოვრები ჩვენი თანატოლი გაიმეორებდა ფრაზას – „საქართველო დამოუკიდებელიაო“, თითქოს ჯერაც ვერ დაეჯერებინა მომხდარი...

– ვის გაიყოლებ? – მეკითხება პაპა მოუთმენლად.

გახარებული იმით, რომ, როგორც იქნა, ამ „გენის“ გამოყენების უფლება მეძლევა, ნიკას სასწრაფოდ ვაყენებ და სხვენისკენ მივარბენინებ. მის გაუჩერებლად მოყრილ კითხვებს, თუ რა არის „დროში მოგზაურის გენი“, მოკლედ ვპასუხობ:

– ეს ჩემი ოჯახის საიდუმლოა. ჩვენ დროში მოგზაურობა შეგვიძლია, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი წინაპარი ამის უფლებას დაგვრთავს. საკმარისად დიდი თვალსაწიერი უნდა გქონდეს, წარსულის გადმონაშთი რომ დააფასო, მათგან მოგება არ ნახო... თავადაც ამას ამბობდი, გახსოვს? ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ისტორიას აუცილებლად შევასწავლი, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ამისთვის მზადყოფნას შევატყობო... ჩემს კოლექციას ვერასდროს ვერაფერზე გავცვლიო... ამიტომ არ მიმყავს ჯერ პატარა და.

მალე სხვენის იატაკი ჩვენ ფეხქვეშ ჭრაჭუნებს. ქარის ტალღებით დარწეული სახურავიდან მტვერი ცვივა. ხარბად ვსუნთქავთ წარსულის მემკვიდრეობის მშრალ სუნს... დრო-ჟამის „მათრობელა“ მოგონებებით გაჯერებული თითოეული საგანი დაუმთავრებელი მუსიკის სულს ჰგავს, რომელიც ეულად დაეხეტება სხვენში. აქ მთავარი ატმოსფერო დროა... აქ ყოველი უჯრა პატარა კუბოა, დრო-ჟამის პატარა საცავი, მოგონებათა საფლავი. თითოეული კოლოფი, ფარდის თითოეული ნაოჭი სავსეა მოგონებებით. აქ დროის მძლავრი გულისცემა გაისმის...

– ამ საათს ხედავ? – ვეკითხები ნიკას და კედლის გუგულიანი საათისკენ ვანიშნებ, – ჩემმა დიდმა ბაბუამ ჩამოიტანა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერ-

მანიიდან. 1889 წელს დაარსებულ ფირმას, „Franz Weirauch“-ს დაუმზადებია. წარმოგიდგენია, ვიღაც გერმანელი არისტოკრატის მისაღებში თავმომწონედ ჩამოკიდებული როგორ ამცნობდა ოჯახს, სადილის დროაო... ახლა გაჩერებულია – გამართულად ველარ მუშაობს. ჯერ კიდევ პატარას, როდესაც მეგონა, დღისა და ღამის გასაყარზე სახლში ავსულები შემოეხეტებოდნენ ხოლმე, ამ საათს ჯადოსნურ თვისებებს მივაწერდი – თითქოს მასში სახლის ფერიას ედო ბინა და გვიცავდა... თურმე მამიდაჩემსაც იგივე სჯეროდა, გუშინ მომიყვა. უცნაურია, არა?

– რას აკეთებ? – ნიკას გაუთავებელ კითხვებს უყურადღებოდ ვტოვებ და საათის კარს ვაღებ, – ამ საათშია საიდუმლო, – მისტიური ხმით ვპასუხობ. შემთხვევით ქანქარას ვეხები.

გონგის ხმა აყრუებს სხვენს. ქაოსში ვიძირებით. უცებ ჩემ თვალწინ მოგონებები ცოცხლდება – კადრი კადრს მიყვება, თითქოს წარსულის პეიზაჟს ვუყურებ...

– აბა, საათი გაჩერებულიაო? – ჩამესმის ნიკას გაღიზიანებული ხმა. გაჭირვებით ვდგებით და ტანსაცმელს ვიფერთხავთ.

– ეს რა ხმაა? – გაოცებით კითხულობს და კარს აღებს, – რა ადგილია?

– ისევ სხვენში ვართ, ოღონდ კავთისხევში, ჩემს სოფელში – ჩუმად ვპასუხობ და ვრცელ საერთო ოთახში ჩავდივართ, სადაც პაპას მიერ ათასგზის მოთხრობილ სანახაობას ვაწყდები, – ჩემს დიდ ბებიას ავეჯი უკან გაუჩოჩებია და თავის სამ შვილთან ერთად ცეკვავს... ასეთ მომენტებში ამჟღავნებდაო საკუთარ ოცნებებს. მამამ მითხრა, სამსახიობო მონაცემები ჰქონდა – სცენა უყვარდაო... მაგრამ მსახიობობის უფლება არავის მიუცია. გულში ჩაუკლავს სურვილი და მთელი ცხოვრება შრომაში გაუტარებია იმ მედლებისთვის, საპატიოდ რომ დაუბრძანებია თაროზე. შეიძლება ითქვას, ამ მედლებმა შეიწირეს მისი ფერადი ოცნებები. ვხვდები, ჩემს წინაპრებს ზუსტად ეს აწუხებდათ – საკუთარი რეალური „მეს“ გამოხატვის არარსებობა. ეს უმძიმეს გამოწვევას წარმოადგენდა მათთვის – თავისი ნამდვილი ოცნებების მსხვერპლად შეწირვა ოჯახისთვის, დიასახლისობის მიღმა გასაქანის არარსებობა და განუწყვეტელი სიფრთხილე, მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრება...

პარალელს ვავლებ ჩემსა და ჩემს წინაპრებს შორის და ვხვდები, რომ მათ ხალასი ფერები აკლდათ. საბჭოეთი ყოველთვის შავ-თეთრ ფერებში წარმომედგინა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლუის ლოურის „გამღები“ წავიკითხე. ამბობენ, რომ ეს თანამედროვე მწერალი საბჭოთა პერიოდს აღწერდა და მეც ასეთი ასოციაცია გამიჩნდა – ადგილი, სადაც ყველა თანასწორია, სადაც ფერები წარსულის ტკბილ მოგონებად ქცეულა და ყველაფერი ნაცრისფერია, სადაც საკუთარი მიღწეულით სათანადოდ ტკბობა არ არსებობს; სადაც ადამიანის სურვილს, არ ჰგავდეს დანარჩენებს, ახშობენ, ინდივიდუალიზმს უკნინებენ – წიგნში აღწერილი ეს ნაცრისფერი სამყარო რეალურადაც

არსებობდა. ეს ყველაფერი დღეს ჩემთვის, ნიკასთვის, და ზოგადად – ჩვენი თაობისთვის ნაადრევი სიკვდილის ტოლფასია. ჩემ გარშემო ყველა უფროსს წარსულზე საუბრისას ყოველთვის მსგავსი აზრი გამოაქვს – შესაძლებლობები გვაკლდაო...

უცებ კადრი იცვლება – ქალაქის სახლში ვბრუნდებით. ნაცნობ გარემოში მოხვედრა გვამშვიდებს. ფეხაკრეფით რაც უფრო ვუახლოვდებით სასადილოს, მით მკაფიოდ გაისმის პატარა გოგონას ხმა, უჩვეულოდ ბოხი და ძლიერი.

თავს უარის ნიშნად ვაქნევ ნიკას კითხვაზე: „ეს რა, შენი ხმაა?“ და კარის ჭუჭრუტანაში ვიჭყიტებით.

მაგიდაზე ამხტარი პატარა გოგონა ლექსს გაიძახის:

– ფისუნია ფისოო, /ლახულავზე ზისოო, /თაგუნია დაიჭილა, /ალა ჩამოდისოოო, – სიტყვა „ალას“ წარმოთქმისას ხელს უარყოფის ნიშნად ისე აქნევს, რომ მაღლაც კი არ სწევს.

– ეს მამიდაჩემია, – სიცილით ვეუბნები ნიკას და მის გაოცებულ მზერას ოთახის ბოლოში მივმართავ. სავარძელში მამაჩემი ზის. თოთხმეტისა ძლივს იქნება... თავის მარკების კოლექციას ჩაჰკირკიტებს. როგორც მიყვება ხოლმე, მარკების შეგროვება, ერთმანეთისთვის გადაცვლა, ბავშვური ფულის ერთეულად გამოყენება სამოციან-სამოცდაათიან წლებში ბიჭების ერთ-ერთი ძირითადი ჰობი ყოფილა, თუ, რა თქმა უნდა, სპორტს – ფეხბურთის გაუთავებელ თამაშს არ ჩავთვლით. განა დღევანდელი ბავშვების უმრავლესობასავით არიან, ელექტრონული სამყაროს მიღმა რომ ცხოვრებას ველარ ამჩნევენ...

– მამაჩემს კი მონეტების შეგროვება უყვარს. ნუმიზმატიკა იტაცებს, ჩემსავით, – ამაყად დასძენს ნიკა, – იცი, ნარდის უჩვეულო ქვებიც გვქონია, მითხრეს, ბროლისაა, რომელზეც XVIII-XIX საუკუნეში მცხოვრები ჩემი წინაპრების სახეებია ამოტვიფრული... ამჟამად რუსეთშია, შორეულ ნათესავებთან. წარმოგიდგენია, რამხელა განძია ჩემთვის? გული როგორ მომითმენს, ოდესმე არ ვნახო...

– არც დაეჭვდე, რომ ნახავ. თუკი იმ გზას ვერ ვირჩევთ, საიდანაც მოვდივართ, უკეთესი მერმისი ჩვენზეა დამოკიდებული. არასასურველი გარემოებების წინაშე მუხლის მოყრა გამოსავალი არ არის. აი, სწორედ ეს გამოცდილება მიიღეს ჩემმა წინაპრებმა მეოცე საუკუნისგან. დანებება გამოსავალი არ არის. ოთხმოცდაათიანების სიცივესა და უშუქობაში, ამ მტანჯველ ეპოქაში მათ სწორედ იმედი ათბობდათ...

– მომავლის იმედი, – მოწონებით მიქნევს თავს.

– მოდი, სამოციანების პლეხანოვზე გავისეირნოთ.

– რუსო, წარმოგიდგენია, რა წარმოუდგენლად ჟღერს ეს ყველაფერი? მერე ჩვენი ჩაცმულობა? რომ დაგვინახონ?

– ვერ გვხედავენ, ნუ ღელავ, – ვეუბნები სიცილით.

ჰაერი გაჟღენთილა გვიანი ზაფხულის მოტკბო სურნელით. ქუჩაში მიმა-

ვალი მაღლა ვიხედები... სამოციანების მზე ისეთივე ყოფილა, როგორც 2018-ისა... ბევრი ადამიანის მოგონება შემიგროვებია ჩემს საოჯახო ალბომში. განსაკუთრებით ერთი მოხუცი ქალის სიტყვები დამამახსოვრდა, მეზობლის, რომელიც საღამოობით გვსტუმრობდა ხოლმე. ამბობდა, რომ მზე უყვარდა – მხოლოდ მას ხედავდა ფერადს საბჭოთა უღლის მძიმე პერიოდში. თითქოს მზეს არაფერი ადარდებდა... – იმედის ფერია ყვითელიო, – მითხრა ერთხელ.

– გადაჯვარედინებული ნამგალ-უროსავით ოქროსფერი? – ვკითხე.

– არა, უფრო ღია! აი, ასეთი, – საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბზე თეთრი გიორგის თავზე გამოსახულ მზეს დაადო დამჭკნარი თითი ჩემი ისტორიის წიგნში.

უცებ ძველ თბილისურ აივანზე გადმომდგარ თანატოლ გოგოს ვხედავ და გულიანად მეღიმება. თვალებდახუჭულს ხელები აივნის მოაჯირზე დაუწყვია. გრძნობს, როგორ უფრიალებს თმას ონავარი ქარი, რომელიც ხეთა ამონასუნთქს ჰგავს და ფოთლებს უნანავებს... თითქოს ფოტოს დავყურებ. ისეთი თვალები აქვს, გეგონება ფიქრებითაც გასცდენია რეალურ სამყაროს, აზრებს კი თვალისთვის უხილავი ფერთა სპექტრი შეუძენიათ. წინ ფერების პალიტრა დაუდია. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მდგარი ვერ ვხედავ, რას საქმიანობს... მაინც ვიცი, რას ხატავს.

ლაჟვარდისფერი ცის ფონზე კლდიდან კლდეზე გადამხტარ ბემბის.

ეს ხომ დედაა. ჩემზე ოდნავ პატარაა. ხატვა და წერა ჰყვარებია, მაგრამ ეს ჰობი გულმოკლულს მიუტოვებია, როცა სხვენში ატანილი ნამუშევრები ჩამოჟონილმა წვიმამ ერთიანად გაუფუჭა. ზოგჯერ მეუბნება, რომ ხალხში გარევა არასდროს იზიდავდა, ვერც საბჭოთა საზაფხულო ბანაკში გაძლო, მეორე დღესვე გაუგზავნია დედასთვის ღია ბარათი, წამომიყვანეო – ჩაულაგებია ჩემოდანი და წამოსულა უკან...

ფიქრებიდან ვერკვევი და წინ მიმავალ ნიკას სირბილით ვეწევი.

– ეს სასტუმრო „ვეტცელი“ არ არის? – მაჩერებს მოულოდნელად შენობასთან, რომელიც დღეს აღარ ფუნქციონირებს.

– მართალია, გერმანული არქიტექტურაა. ცოტამ თუ იცის, რა დიდი მნიშვნელობის კულტურულ ძეგლთან ჩაუვლია „ფართოდ დახუჭული თვალებით“... სწორედ ეს არქიტექტურული ნიმუშები გვიტოვებენ შესაძლებლობას, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოში გერმანელთა მიერ დატოვებულ კულტურულ ძეგლებს, აგურებს, რომელთაც ამ ერის წარმომადგენლები თავიანთი ხელით ეზიდებოდნენ, საკუთარით შევეხოთ...

– „მაღალი მთებით შემორკალული ეს პატარა ქვეყანა თავისი მწვანე, სურნელოვანი ტყეებით, ყვავილებით მოფენილი ველებით, მორაკრაკე ნაკადულებითა და ლაღად მოჩქრიალე ჩანჩქერებით, გასაოცარ დიდებულ ბაღს წააგავდა.“ – სწორედ ასეა აღწერილი ცახეს ცინობერის სამშობლო, – წარმოთქვამს ნიკა დინჯად. ყოველთვის მაოცებდა მისი უნარი, ასე ზედმიწევნით დაემახსოვრე-

ბინა წარსულში წაკითხული ან მოსმენილი.

– ამ სიტყვების წაკითხვის შემდგომ გამიჩნდა უჩვეულო შეგრძნება, – აგრძელებს, – თითქოს ჰოფმანი ჩემს სამშობლოს აღწერდა... სწორედ ამ მსგავსების აღმოჩენის შემდეგ დავინტერესდი გერმანიასა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობებით, იმ კულტურათა შერწყმით, რომელიც იმსახურებს, საზოგადოებამ ყურადღებით გაანებივროს. ამ კულტურულ მემკვიდრეობას მოფრთხილება, დაცვა სჭირდება, რათა სხვებმაც შეაბიჯონ გერმანული თვალთახედვით დანახულ საქართველოში, ან პირიქით, დაინახონ გერმანია ქართული თვალებით.

ვიცი, „დანახვას“ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს – შარშან ზუსტად ორი ასწლეული გავიდა გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩამოსვლიდან... ორი საუკუნე სრულდება, რაც მათ ოფლითა და დაუღალავი შრომით ააშენეს დასახლებები – ეს შენობები დღემდეა შემორჩენილი სოფელ თრიალეთში (ყოფილი ალექსანდერსჰილფი), ბოლნისში (ყოფილი კატარინენფელდი), ერთ დროს სიცოცხლით სავსე სასტუმრო „ვეტცელი“ თბილისში... აქ ადრე გერმანული სიცოცხლე ჩქეფდა.

– გერმანული სიცოცხლე „მაღალი მთებით შემორკალული პატარა ქვეყნის“ ძარღვებში... – ის-ისაა, ხმამაღლა ვამთავრებ ფიქრებს, რომ კადრი კვლავ იცვლება – ისევ ჩემს სახლში ვჩნდებით.

ადგილი იგივეა, დრო – სხვა. ვუყურებ ჩემი წინაპრების ცხოვრების ცვლილებას მეოცე საუკუნის სხვადასხვა პერიოდებში.

დაზამთრებულა. წამოზრდილი მამა და მამიდა ნაძვის ხესთან საქმიანობენ.

– შეხედე ამ სათამაშოებს! – აღფრთოვანებით ვეუბნები ნიკას, – შენც ხომ გაქვს ასეთი ძველი სათამაშოები? რა ლამაზია... ასეთებს თანამედროვე მაღაზიებში ვეღარსად ნახავ.

– ვაი, გამივარდა! – გაჰყვირის უცებ მამიდა და მეწამული მინის ბურთს მისდევს, რომელიც პირდაპირ ჩემს ფეხებთან მოგორავს.

„აი, თურმე საიდან აქვს ის ბზარი.“ – ღიმილით ვფიქრობ. ვიხრები და სათამაშოს ვიღებ. უეცრად მამიდას ხელზე თითები მიხვდება და დროის მდინარებასთან მოთამაშეს ცივი ოფლი მასხამს – ალბათ, იმ თავადიშვილებივით, რომელთაც სამშობლო 1801 წლის 12 სექტემბერს გუბერნიად გადაუქციეს... რომელთა შთამომავლებსაც შემდგომ საბჭოთა კავშირში შესვლა და „წითელ გალიაში“ გამომწყვდევა შეატყობინეს... რომელთაც მსოფლიო ომებში საკუთარი სისხლისა და ხორცის დაკარგვა/დაღუპვა აცნობეს... ალბათ ჩემი წინაპარივით – პაპას ბიძასავით, ოცდახუთიოდე წლის გიორგივით მივლის ჟრუანტელი, რომელიც ჩოლოყაშვილის მასპინძლობის გამო დაუხვრეტიათ... პაპამ მითხრა, თურმე მისი ფერის თვალები მქონია – თაფლისფერ-მოხაკისფრო, საბჭოთა სამხედრო ფორმასავით, რომელიც მწვანე ფერის სიყვარულის გამო გადავაკეთებინე – მისი სახით, შემიძლია ვთქვა, ისტორიას ვატარებ – ახლაც

ეს მაცვია.

მამიდა გაოცებით იხედება მაღლა და მისი მომწვანო მზერა ჩემს უჩინარ თვალებს ხვდება. უმალვე მახსენდება, რაც გუშინ მითხრა – მაშინ ვიფიქრე, ხელიდან გავარდნილი სათამაშო იმ ფერიამ მომაწოდა, რომელიც, მეგონა, გუგულიან საათში ცხოვრობდაო...

– რატომ იქნებოდა პრობლემა ჩვენი დანახვა? – მეკითხება ნიკა, როცა კადრი კვლავ იცვლება და ახლა სამოცდაათიანების ბოლოში ვჩნდებით, დედას სკოლის წინ.

– ეს დედას ბოლო წელი უნდა იყოს სკოლაში, – ვამბობ დაბეჯითებით, თითქოს წარწერიან ფოტოს ვუყურებ, – და იმიტომ არ უნდა დაგვინახონ, რომ ისტორია ცოცხალია, მგრძნობიარეა. მცირეოდენ ჩარევასაც რადიკალური შედეგები მოაქვს, წითელი რევოლუციის მსგავსად, ამიტომ დროსა და დროებას არ უნდა ეთამაშო. ვინც თამაშის წესები ვერ, ან არ აითვისა, ოცდაათიანების შავეთმა შთანთქა. იცი, რა დავასკვენი? საბჭოეთი ღმერთის ანტონიმია, შესაბამისად სიყვარულისაც. სიყვარული კი ცხოვრებაა. გამოდის, საბჭოეთი არსებობა იყო მხოლოდ.

მალევე მეოცე საუკუნის სკოლაში ვაბიჯებთ. თითქმის ყველაფერი განსხვავებულია... დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებოდა, ჰქონდათ შრომის გაკვეთილები, აბარებდნენ „ნორმატივებს“, აუცილებლად უნდა სცმოდათ ფორმა...

– ერთხელ, როცა დედას მოსწავლეობის პერიოდის ფოტოს დავხედე, ვეხუმრე, ოფიციანტების/მოსამსახურეების ფორმა გცმიათ-მეთქი. – ვეუბნები ნიკას სიცილით.

– ალბათ თავად არასდროს უფიქრია ასე. – მპასუხობს.

ასეა. თუმცა, მიუხედავად დღევანდელი თაობის სიყვარულისა თავისუფალი ჩაცმულობისადმი, მე მაინც მხიბლავს საბჭოთა სკოლები, რადგან ის ზუსტად იყო მორგებული მოსწავლეზე... ყურადღებას სპორტსაც აქცევდნენ და შედეგად, ნაკლები იყო ხერხემლის დაავადებები, რომელსაც შემდგომ არაერთი პრობლემა მოჰყვება. დღეს კი სპორტზე აქცენტი სკოლებში თითქმის აღარ კეთდება. ადრე კაბინეტური სისტემა, ლაბორატორიები არსებობდა, რასაც დღეს უმეტესი საჯარო სკოლების მოსწავლეები შევნატრით. დღევანდელისგან განსხვავებით, გაკვეთილები უფრო მოცულობითი იყო. ბებია რუსული და ქართული ენების მასწავლებელი გახლდათ და არაერთხელ გადასცემია „ქების სიგელი“, ამიტომ საბჭოთა სკოლაზე იმდენი კი ვიცი, მივხვდე, რომ ჩემი თაობის ყოველდღიურობა წინაპრებისგან ძალიან განსხვავდება. დადებითი ისაა, რომ ძველი მოსწავლეებივით არ გვიწევს სკოლაში შაბათობით სიარული და სასკოლო ფორმის ყოველდღიური მოვლა-გახამება, რასაც ყველა უსიამოვნოდ იხსენებს – ძვირფას დროს გვაკარგვინებდაო.

– ახლა საით? – კითხულობს ნიკა.

– მეექვსე საავტორო სკოლაში წავიდეთ! ადრე გოგონათა გიმნაზია იყო, მაგრამ მე სულ სხვა რამის გამო მინდა მისი ნახვა...

– ვიცი, რატომაც, – მაწყვეტინებს ღიმილით, – ნეოგოთიკური არქიტექტურის ნიმუშია და იმიტომ.

ასეა. მიყვარს გოთიკა და მისი გამოხატვა არქიტექტურაში – ასეთი სტილის შენობები მონუმენტური თაღებით, წაწვეტებული სარკმლებით, შეისრული ელემენტებით... გარეგნული სერიოზულობა და უჩვეულო სიცივე, შინაგანად – ბობოქარი დინამიკა, იდუმალება და შავბნელ ბურუსში გახვეული საქმეები – აი, რას მაგონებს ჩვენი სამშობლო მეოცე საუკუნეში – გოთიკას, რომელიც უარყოფდა რელიგიას და მხოლოდ თავის ნაბრძანებს ხდიდა იდეოლოგიად, რომლის შავბნელ პერიოდებს ბედნიერების წამიერი გაელვება ცვლიდა, როგორც ის სამწლიანი გამონათება საქართველოს პირველი რესპუბლიკისა, სამწლიანი სიხარული ეროვნული დამოუკიდებლობისა. შავი გოთიკა თეთრმა ჩაანაცვლა, მხოლოდ დროებით... საბჭოთა კავშირის ძალადობით გაჟღენთილი ისტორია მრავალგზის დაქსაქსული, შავბნელი ორნამენტების გოთიკაა, გროტესკული, დამახინჯებული ფიგურებით, რომლებსაც აბსურდული ბრალდებებისა და ადამიანის ფიზიკური განადგურების მეტაფორად აღვიქვამ. ამ შავი გოთიკის დამცინავ ხახაში მეგობრების წრეში უბრალო გახუმრებასაც კი შეეძლო გადაეჩეხე... მეკითხებით, როგორ წარმომიდგენია თავი ამ პერიოდში?

ჩემი მეამბოხე აზროვნების გადამკიდეს შავ სუდარაში წარმომიდგენია, ნესტიან მიწაში, გოთიკაში მთელი ტანით გადაშვებულად. მე ადრე ვერ ვიცხოვრებდი, რადგან აწმყოსთვის ვარ გაჩენილი.

...და დედას სკოლის კედლებს გოთური არქიტექტურა თვალის დახამხამებაში ცვლის.

– იცი, რა მითხრა იმ მოხუცმა მესაათემ, ვისთანაც შარშან მივიტანე საათი გასაკეთებლად? – სიჩუმეს არღვევს ნიკა.

ცნობისმოყვარე თვალებით ვუყურებ.

– მითხრა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამფეროვან დროშაზე შავ-თეთრი ზოლები ერთიანობისა და სიმტკიცის სიმბოლოა, შავი სიფრთხილეს, სიბრძნესა და თავდაცვასაც გულისხმობსო, რომელიც მეტად სჭირდებოდა ახლად დამოუკიდებლობააღდგენილ სახელმწიფოს... მოხუც მესაათეს უყვარდა სხვადასხვა გერბების, წარწერების, მინიშნებების, სიმბოლოების შესწავლა. ეს, ალბათ, მისი ყოველდღიურობიდან გამომდინარეც იყო განპირობებული – საათი თავისთავადაა იდუმალება. მისი მექანიზმის უცნობი დეტალები ზოგისთვის შემზარავი, ისეთივე გაუგებარი და ბოლომდე გამოუკვლეველია, როგორც გასული საუკუნის ისტორია... – ჩემი აზრით, – აგრძელებს ნიკა, – წარსულის სიმძიმე წარსულში უნდა დატოვო, მაგრამ არ დაივიწყო. ვერც დაივიწყებ. უბრალოდ, ისე შეხედე, როგორც „უცნობ ნაცნობს“. ისტორია უნდა იცოდე, მაგრამ საკუთარ თავს წარსულის სევდაში ჩაძირვის უფლება არ უნდა მისცე

უკეთესი მომავლისთვის.

მახსენდება, იმავეს როგორ მეუბნებოდა ჩემი უბნის მცხობელი, ვისთანაც ცხელი შოთისთვის დავდიოდი სიცხესა თუ ყინვაში. წლები გოთური ისრებივით, საბჭოეთის ესოდენ საყვარელი, დასახვრეტად განკუთვნილი ტყვიებივით მიქროდა, ხაბაზი კი მოკითხვას დარიგებებს მოაყოლებდა, საკუთარი წარსულის მაგალითზე. მეუბნებოდა, თითოეულმა ჩვენგანმა რთული ცხოვრება გამოიარა, ამიტომ ბედნიერების მცირე მომენტებით მაქსიმალურად დასატკბობად „წამის დაჭერა“ უნდა ისწავლოო...

შენობას სიჩუმე შთანთქავს – მეოცე საუკუნის ეპოქებში მოგზაურობა დასასრულს უახლოვდება... და უცებ, მთავარი დარბაზის ცენტრში – იქ, სადაც სინათლე ბუნდოვანებას იძენს და ველური ფართხალით ენაცვლება სიბნელეს, მთვარის შუქით განათებულ ადგილას, რომელსაც გოთური სარკმლის ცხაურები ისე ცრის, როგორც წარსულის შავბნელი აჩრდილები დაღავენ აწმყოს ცხოვრებას, იდეა იბადება... იდეა წარსულზე დაყრდნობით რაღაც ახლის, საინტერესოს შექმნისა, იდეა წიგნის დაწერის...

– სამხედრო ჟანრის რომანი იქნება რემარკის სტილში, ქართველი სამხედროსა და ბრიტანელი დიდებულის ქალიშვილის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პერიოდში – ოციან წლებში, როცა ინგლისელები იყვნენ შემოსულები... კარგად აწყობილ ურთიერთობას გამუდმებული ომიანობა, ბოლოს გასაბჭოება ასრულებს. მაქსიმალური ტრაგედია დასასრულს – სამხედრომ ჩოლოყაშვილის აჯანყებაში ჩართულმა დაასრულოს ცხოვრება...

– ოფიცრის ერთადერთ ფოტოსთან ერთად ბრიტანეთში დაბრუნებული გოგონა კი მარტო დარჩება მთელი ცხოვრება...

... ფიქრს ღრმა ამოოხვრა გვაწყვეტინებს. ძილმორეული პაპა ფოლიანტის მსგავს უზარმაზარ ალბომს ხურავს, რომლის ხავერდოვან ყდაზე ოქროსფერი წარწერა – „დროში მოგზაურის გენი“ მოსჩანს. მახსენდება, რომ ეს ფრაზა გასული წლის 26 მაისს დავაწერე, თითქოს ამ უბრალო „რიტუალით“ საქართველოს პირველი რესპუბლიკის თარიღი აღვნიშნე. ძველ საათში ვინახავდით ამ ალბომს, სავსეს გარდასულ დროთა მოგონებებით – სიგელებით, სტატიებით, მედლებით, ბარათებით, წერილებით, სხვათა მონაყოლი ამბების ჩანაწერებით და, რაღა თქმა უნდა, ასობით ფოტოთი. იმ ქაოსის მიზეზი კი, რამაც სხვენში გამაყრუებელი ხმა და მოგონებების უცაბედი გამოცოცხლება გამოიწვია, ალბომის ხელიდან გავარდნა იყო... საათთან მდგარს სულსწრაფმა აღტკინებამ დამრია ხელი, იმ ყმაწვილი იუნკერის მსგავსად ამიჩქროლდა სისხლი, რომელსაც უდიდესი გამოწვევა ჰქონდა – ტაბახმელისა და კოჯრის გადმოსასვლელებთან მეწამული რევოლუციისგან სამშობლო უნდა დაეცვა... რომელსაც გმირულ სიკვდილამდე სულ რამდენიმე წუთი აშორებდა... და რომლის ხსოვნაც არ მიეცემა დავიწყებას, სანამ სიტყვა „ქართველი“ იარსებებს.

– ჩუმად, ჩაეძინა, – ჩურჩულით ვეუბნები ნიკას და ოთახს თითის წვერებზე

ვტოვებთ. დამშვიდობებისას ტრიალდება და ღიმილით მეუბნება:

– „წარსულში“ შევხვდებით.

– არის, ამხანაგო! – ჯარისკაცული სალმით ვპასუხობ.

ღიმილით ვბრუნდები ოთახში, დროის სკივრად ქცეულ ალბომს ხელს ვავლებ და სხვენის გზას მივყვები. თან ვფიქრობ...

ყოველთვის მჯეროდა – როცა უყურებ, ეხები ძველებურ საგნებს, არტეფაქტებს, წარსულთან ერთად აწმყოსაც ებღაუჭები. მათი დახმარებით ხომ მყოობადი უნდა გამოიჭედოს. ადამიანს ისტორიის შესწავლის უდიდესი ვალი მართებს, განსაკუთრებით საკუთარი ისტორიის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, ფარატინა ქაღალდს დაემსგავსება, რომელმაც ხელი საკუთარ დედას ჰკრა... თუკი წარსული კარგად იცი, უკეთესი მყოობადის სადავეებიც ხელში გიჭირავს – სწორედ ეს გამოცდილება მიიღეს იმ ადამიანებმა, რომელთა მოგონებებიც ალბომში ცოცხლობენ...

ამიტომ ვფიქრობ, რომ ისტორიის სიყვარული საკუთარი თავის პატივისცემა და სიყვარულია. ისტორია – ეს ის სიტყვაა, საიდანაც სიბრძნე აღმოცენდება. კარგად ნაპოვნ სიტყვას კი ადამიანის გადარჩენა შეუძლია. იქნებ ბობოქარ, ამაღელვებელ, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით დაუცხრომელ, ზოგჯერ კი მშვიდ, ხშირად ნაგვემ, ტანჯულ, მაგრამ კვლავ აღმდგარ მეოცე საუკუნის „გოთურ“ ისტორიას შეიძლება, ერქვას ცოცხალი.

ისტორია ქარია, რომელიც კანზე გველამუნება. როგორ შეიძლება, ვერ გაიგო ამ ქარის მიერ მოტანილი ბგერები... წინაპრების ხმები, რომლებიც გულის სიღრმეში იჭრება და უფერო მწუხრით გაჟღენთილ ცოდნას გვიტოვებს – ცრემლიანს, ღირებულ ცოდნას. მედგრად მომავალი, მთის მქუხარე მდინარე – აი, ეს წყალია ისტორია, ზოგჯერ აქაფებული რომ მიარღვევს ტყე-ღრეს (სწორედ ამას მაგონებს დამოუკიდებლობის სამი წელი, საზოგადოებრივი ღვაწლის, პოლიტიკური მოღვაწეების თავდაუზოგავი შრომის ეს ოქროს ხანა), ხოლო ზოგჯერ გაშლილ, ფართო ველზე მორაკრაკებს დუნედ, პროგრესის გარეშე, როგორიც იყო მეოცე საუკუნის ძირითადი ნაწილი... საბჭოთა კავშირი წარმომიდგა სამყაროდ, სადაც საკუთარი აზრის გამოხატვის, თავისუფალი აღმსარებლობის, ცინცხალი წინსვლის ყოველგვარ სურვილს კლავდნენ, სადაც მრავალფეროვნება არ არსებობდა, სადაც ისეთი სისხლიანი, მტკივნეული ისტორია იწერებოდა, რომლის იარებსაც მოშუშება ჯერ არ უწერია... სადაც მოსწავლეებს გასაქანი არ ჰქონიათ, ის ოლიმპიადები, კონკურსები, რომელშიც გამარჯვებით მე ჩემს საკუთარ, ოცდამეერთე საუკუნის ისტორიას ვქმნი, მაშინ არც არსებობდა. მართალია, ჩემი თაობის ძირითადი ნაწილი თეორიული ცოდნით ნამდვილად ჩამოვრჩებით ჩვენს წინა თაობებს, მაგრამ... ჩვენ პრაქტიკა გვაქვს, მათ კი სწორედ ეს აკლდათ – ცოდნის რეალიზება თავის გამოცდით ბანაკებში, მოდელირებებში, მრავალფეროვან, აუარებელ ღონისძიება-ტრენინგებში. მართალია, არსებობდა სხვადასხვა წრეები, მაგრამ

არ იყო დღევანდელივით ფართო არჩევანი. ვინაიდან თავისუფლებაზე დომინოს პრინციპით გადაბმული არაფორმალური განათლება უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული გამოწვევა იყო წინა თაობების ახალგაზრდებისთვის – შესაძლებლობების ფართო სპექტრის არარსებობა და რაღაცნაირი, მოთხოვნილებების ჩამხშობი თვლემა... ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია ამ წარსულში. წარმომიდგენია მხოლოდ ამ წარსულის შეცდომებზე გამოსწორებულ მომავალში.

ყველა გამოკითხულს, ვისი მოგონებებიც შევაგროვე, აქვს რაღაც საერთო, ერთი მეტად მნიშვნელოვანი, ძირითადი რაღაც. ეს დანისლული მოგონებებით უეცრად ავსებული თვალებია. მიუხედავად უამრავი იმედგაცრუებისა და ტკივილისა, საოცარია, როგორი სიტკბოებით იხსენებენ ამ დროს... ვგონებ, იმიტომ, რომ სწორედ მეოცე საუკუნემ გამოძერწა მათი ახალგაზრდობა, ვინც არ უნდა იყოს: ჩემი მოხუცი მეზობელი, მზე რომ უყვარდა, ის ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი ცოლ-ქმარი, რომელიც თხოვნის გარეშე, თავისივე სურვილით ყვება წარსულის დღეებზე, ჩემი მასწავლებელი ბებია, ლექტორი პაპა, შოთის მცხობელი, მოხუცი მესაათე, ნიკას მშობლები, შორეული ნათესავები რუსეთში თუ ადამიანები, ვისაც არც კი ვიცნობ, მაგრამ ჩემს წინაპრებთან ბევრი აერთიანებთ... მათი სიყრმე და მეტად ფასეული მოგონებები – ეს პირადად მათი წარსულია, ეს ხომ მათი სილამაზის ზენიტის წლებია... ეს მათი ახალგაზრდობა და ცხოვრებაა, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს. როგორ არ აევსოთ თვალები მელანქოლიის გამჭვირვალე მწუხრით? როგორც უკვე აღვნიშნე, მეოცე საუკუნე ტკბილ-მწარე მოგონებების შეუდარებელი მაგალითია...

სანამ „ფერიის მოწიკწიკე გერმანულ სახლს“ მივაღწევ, ფეხს მაქსიმალურად ვითრევ, ჩრდილოეთის ყინულოვანი მხარისკენ მიმავალი, ბინძურ პოლიტიკურ თამაშებში – რეპრესიებში მოყოლილი ადამიანებივით, რომელთა უმრავლესობაც დაუმშვიდობებლად გამოგლიჯეს ოჯახს... თითქოს არ მინდა, ალბომს დროებით მაინც მოვცილდე, მაგრამ გამოცდებისთვის უნდა მოვემზადო – ბევრისთვის არადამაკმაყოფილებელ წარსულს სასურველი მომავალი უნდა გამოვუძერწო.

ალბომიდან რამდენიმე „ცელქი“ სურათი ვარდება. იმ დაუმორჩილებელ ახალგაზრდებს მაგონებენ, უკეთესი მერმისის ძიებაში რომ გაიტაცეს თვითმფრინავი... ვისაც თავისუფლების წყურვილი ჩაუხშეს...

ოხვრით ვიხრები და ნელა ვიღებ. მამიდას პატარაობის ფოტო ყოფილა. უცებ მახსენდება, როგორ დავწვდით დავარდნილ სათამაშოს ერთად და როგორ გამიყარა მზერა თვალში – ჩემს ფანტაზიებში, რასაკვირველია, მაგრამ...

მაგრამ მან ხომ რეალურად მითხრა, მეგონა, მაშინ ვიღაც შემეხოო?

ჰაერი გუბდება, ერთბაშად იხუთება, თითქოს სულ ცოტა ხნის წინ სწორედ ამ ოთახში ემუშაოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს კონსტიტუციაზე. ფანჯარას ჭრიალით ვაღებ. „უჰ, ერთ კარგ დეფენსტრაციას კი მოვუწყობდი ის-

ტორიის მთელ უსამართლობას“ – მიელვებს გონებაში. მწარე ღიმილითა და ცრემლიანი ცოდნით აბრჭყვიალებული თვალებით ვიხედები ქუჩაში. საღამოს ბინდ-ბუნდში სახლისკენ მიმავალ ნიკას ვლანდავ... ეს ბინდ-ბუნდი არ არის საბჭოეთივით შავი და უიმედო. უფრო კამკამაა, წვიმის სურნელივით თავისუფალი. ეს ბინდი მომავლის გარიჟრაჟია.

მართალია, მთელი ეს „წარსულში მოგზაურობა“ ჩემს გონებაში ფორმირდა, რეალურად მხოლოდ წარსულის ამსახველ მასალას დავცქეროდით და ვიკვლევდით, მაგრამ...

მაგრამ ვინ თქვა, რომ სწორედ ამიტომ ეს სინამდვილე არაა?!

და ქუჩაში მიმავალს მოულოდნელად ვეძახი – „წარსულში შევხვდებით! იმ „მომავალი წინაპრების“ „მომავალ“ წარსულში, რომელიც ჯერ არ დაწერილა!“

ქეთი ნაგვაძე, 15 წლის

ნ. ახაჯაცის სახელობის
ქ. თბილისის მე-9 საჯარო სკოლა
მე-10 კლასი

პედაგოგი: თინათინ შიშნიაშვილი



ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში

წინაპართა ღვაწლის გააზრება და დაფასება რომ თითეული ჩვენგანის ვალია, კიდევ ერთხელ შემახსენა კონკურსმა, „ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში“. შემახსენა და გადავწყვიტე, დამეწერა ჩემი უშუალო წინაპრის, ჩემი პაპის, შოთა სულხანიშვილის შესახებ. იგი თითქმის ჩემს ასაკში, 16 წლის პატარა ბიჭი მოხალისედ წავიდა II მსოფლიო ომში. ერთი შეხედვით, ზოგიერთისთვის ბანალური ისტორიაა ჩვეულებრივი „საბჭოთა ჯარისკაცისა“, ვიღაცა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კიდეც წინაპართა ღვაწლსა და გმირობას. – ვისთვის და რისთვის იბრძოდნენ, ვის იცავდნენ: საბჭოთა კავშირს, რუსეთს, საქართველოს დამპყრობსო? ეს კითხვა პაპას ძალიან აღიზიანებდა და შეურცხყოფად იღებდა, გულს სტკენდა, პასუხი კი ასეთი ჰქონია: რატომ არ უნდა წავსულიყავი, განა ასეთი მშიშარა ვიყავი? ან ჰიტლერი რომ შემოვიდოდა, ქართველებს განა დაინდობდაო? თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, რა იყო ფაშიზმი, რას ვებრძოდითო!

მართლაცდა, ფაშიზმი ხომ მთელი სამყაროს უდიდესი პრობლემა იყო და კიდევ მიჩნდება კითხვა: მაშ, რატომ იბრძვიან დღესაც ქართველი ბიჭები მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, რატომ ვღვრით ქართულ სისხლს არაქართულ მიწაზე?

ჩემი მიზანია, დღეს შოთა სულხანიშვილი წარმოვაჩინო არა როგორც საბჭოთა ჯარისკაცი, არამედ როგორც ქართველი ახალგაზრდა, რომელიც 1941 წლის აგვისტოში ახლად სკოლადამთავრებული (მან დაამთავრა ქ. თბილისის 27-ე საშუალო სკოლა) მოხალისედ ჩაირიცხა საბჭოთა არმიის რიგებში. მინდა გამოვიკვლიო, როგორი იყო ერთი რიგითი ქართველი ახალგაზრდის ცხოვრება, მის მაგალითზე კი შეიძლება განზოგადება, როგორ ცხოვრობდნენ მისი თანატოლი ქართველი ახალგაზრდები – რა მიზნები, სურვილები ჰქონდათ? როგორ შეცვალა ისინი ომმა? ან შეცვალა კი საერთოდ? რას წარმოადგენდა მათი ყოველდღიურობა, რა აწუხებდათ, რა სტკიოდათ, რა უხაროდათ? როგორი იყო წინააღმდეგობები, რომლებიც მათ შეხვდათ საუკეთესო წლებში თავიანთი ცხოვრებისა, როგორ გაუძლეს, რა გამოცდილება მიიღეს?

ჩვენ შედარებით მეტი ვიცით მათი საბრძოლო ცხოვრების შესახებ, მაგრამ თითქმის არაფერი მათი ადამიანური გრძნობების, განცდების, სამომავლო გეგმების შესახებ. მე პაპა მახსოვს მომღიმარი, მოსიყვარულე და მუდამ მაგიდასთან მჯდომი, თავის ნახაზებსა და ფურცლებში თავჩარგული. ძალიან ვწუხვარ, რომ, როცა პაპა გარდაიცვალა, მე მხოლოდ შვიდი წლის ვიყავი, ის კი შვიდი წელი თითქმის სულ იჯდა (ინსულტის გამო მოძრაობა შეზღუდული ჰქონდა), ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი მასთან უშუალოდ მესაუბრა, დარწმუნებული ვარ, ბევრი დარჩა მოსაყოლი ჩემთვის, მე კი – ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი.

ვფიქრობ, მაინც რა უნდოდათ პაპას და მის მეგობრებს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ ომში სრულიად ახალგაზრდებს, თინეიჯერობის ასაკში? ნუთუ გაუაზრებლად, საბრძოლო ჟინით აღტკინებულნი წავიდნენ? ან იქნებ ძალიან კარგადაც ჰქონდათ გააზრებული, სად მიდიოდნენ და რისთვის? იქნებ უკვე კარგად ერკვეოდნენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებში – რა არის ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების არსი? დიახ! ჩემი პაპის ცხოვრების მაგალითზე ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ მან და მისმა თაობამ ზუსტად იცოდა, რომ, იყო ადამიანი – ეს ამ ქვეყანაზე ყველაზე რთული დავალებაა. ეს არის მისია, რომელიც ყველა ჩვენგანს გვაკისრია. ზოგს ამ მისიის შესრულება კარგად გამოსდის, ზოგს კი – საერთოდ არა. როგორც გოეთე ამბობდა: „მართალია, ყოველთვის შეიძლება ვერ იყო გმირი, მაგრამ ყოველთვის უნდა დარჩე ადამიანად“. ჩემმა ტოლმა ჩემმა წინაპრებმა XX საუკუნიდან ყოველთვის მშვენივრად იცოდნენ ეს ჭეშმარიტება. ომის ქარცეცხლშიც კი შეძლეს დარჩენა არა მხოლოდ ადამიანებად, გმირებადაც კი იქცნენ, პირნათლად ზიდეს თავიანთი ტვირთი კაცობრიობის წინაშე.

შოთა ვასილის ძე სულხანიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1923 წლის 22 ნოემბერს. იგი ოჯახში მესამე შვილი იყო. მამა, ვასილ სულხანიშვილი, ასევე თბილისში დაბადებული ძირძველი თბილისელი იყო, დედა, ევა ტროყაშვილი კი – თელაველი ქალბატონი.

შოთა იზრდებოდა თბილისის ერთ-ერთ ძველ, ძალიან ლამაზ უბანში – ჩუღურეთში. გარშემო თითქმის ყველა ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, ამიტომაც პაპას მრავალი ეროვნების მეგობარი ჰყავდა: სომეხი, ქურთი, ასირიელი, რუსი და ა.შ. ამის წყალობით შესანიშნავად ფლობდა ამ ენებსაც. იგი სუფთად საუბრობდა რუსულად, სომხურად, ასირიულად....

ამ საოცრად ლამაზ, ეთნიკურად ჭრელ და თბილ უბანში აღზრდამ შოთასა და მისი მეგობრების ცხოვრებაზე უაღრესად ღრმა და საინტერესო კვალი დატოვა. აი, ერთი ლამაზი ისტორია იმ უბნის ცხოვრებისა, რომელსაც ბებო იხსენებს პაპის მონაყოლიდან: მოხალისედ რომ ვეწერებოდით მე და ჩემი მეგობრები, ჩვენთან ერთად ჩემს საუკეთესო მეგობარს, შალიკო შალიტაევსაც უნდოდა ომში წამოსვლა, მაგრამ ბიჭებმა სასტიკი უარი ვუთხარით და დავუშალეთ, თქვენ, აისორები, ისედაც ცოტანი ხართ, ომში არ უნდა წახვიდეთო. ეს მხოლოდ თბილისში და მხოლოდ ქართველს შეეძლო ეთქვა.

მოგვიანებით შალიკო მოსკოვში გადასულა საცხოვრებლად, მაგრამ მთელი ცხოვრება თბილისელად დარჩა. თბილისში გატარებულმა თბილმა წლებმა ასეთი რამ ათქმევინა: რომ მოვკვდები, ჩემი ნეშტი დაწვით და ფერფლი მაინც წაიღეთ თბილისშიო.

სკოლაში შოთა წარჩინებული, მაგრამ ამავე დროს ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა. ამის გამო ხშირად ჰქონია პრობლემები დირექტორთან. ამავე დროს უდიდესი სიყვარულით იხსენებდა თავის ქართული ენისა და ლიტერატურის

მასწავლებელს, როგორც საოცრად განათლებულ და უკეთილშობილეს ადამიანს: „სულ უკან დამყვებოდა, ჩემი ფეხბურთის მატჩებსა და ვარჯიშებსაც კი ესწრებოდა, ისე მაქცევდა ყურადღებას, ვერც კი ვხვდებოდიო“.

პაპას ბავშვობის ოცნება კონსტრუქტორობა და ფეხბურთი ყოფილა, ორივე ძალიან ჰყვარებია. დადიოდა კიდეც წრეებზე. არტოს ბაღში ყოფილა ნორჩ ავიაკონსტრუქტორთა წრე, სადაც გატარებულ დროს დიდი სიამოვნებით იხსენებდა. ფეხბურთი ხომ მისი ბავშვობის განუყრელი ნაწილი იყო. მაშინდელ თბილისში ძალიან ხშირი ყოფილა უბნებს შორის შეჯიბრებები. შოთაც აქტიურად იღებდა მონაწილეობას. „ჩვენი ოცნება ნამდვილი ტყავის ბურთი იყო, – იხსენებდა თურმე, – ბურთებს თვითონ ვკერავდითო“.

მაგრამ კონსტრუქტორობაც, ფეხბურთიც და ყველა ოცნებაც ერთბაშად გაქრა. მუხთალმა ომმა მთლიანად შეუცვალა სამომავლო გეგმები შოთას. 21 წლის ახალგაზრდა კონტუზირებული დაბრუნდა სახლში, სხეული ნატყვიარებით ჰქონდა აჭრელებული, ბუნებრივია, ფეხბურთი მისი მომავალი ცხოვრების ნაწილი ვეღარ იქნებოდა, მაგრამ საინჟინრო საქმის სიყვარულმა თავისი ქნა და, ომიდან ახალდაბრუნებული, პირდაპირ უმაღლესი ქულებით შევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. სწორედ აქ თქვა თავისი სათქმელი, როგორც ინჟინერმა და პედაგოგმა, რომელმაც უამრავი სტუდენტი გამოზარდა.

ახლა ვხვდები, რა განცდები ექნებოდათ პაპას და მის თანატოლებს, როცა აღმოაჩენდნენ, რომ თავიანთ მისწრაფებებს ვეღარ განახორციელებდნენ ვიღაც ბოროტი, ომის მოსურნე ადამიანების გამო.

პაპის მაგალითიდან გამომდინარე, ბევრჯერ მიფიქრია, შევძლებდი კი ამდენი გაჭირვების, წინააღმდეგობის, სისასტიკის გამოვლის შემდეგ არ შემეცვალა ჩემი არჩევანი, ჩემი მუსიკის სიყვარული და, რაც მთავარია, ისევ სიკეთით სავსე ადამიანად დავრჩენილიყავი, რაც ძალიან ძნელია. პაპაჩემის მაგალითი ჩემთვის ძალის მომცემია, რომ ვიარო ჩემს არჩეულ გზაზე, რასაც მუსიკა ჰქვია. ალბათ ყველაფერს გავაკეთებ, რომ კონსერვატორიაში გავაგრძელო სწავლა ალტის განხრით, ინსტრუმენტის, რომელიც ძალიან მიყვარს. არც კი მინდა იმაზე ფიქრი, თუ რას გავაკეთებდი, ასეთი საშინელი განსაცდელის წინაშე რომ დავმდგარიყავი. ვაჯობებდი კი ამ ბოროტებას? მგონია, რომ კი. გამიჭირდებოდა, მაგრამ მაინც.... რადგან ყველაფერს აზრი ეკარგება, როცა ომი და საშინელება ტრიალებს დედამიწაზე, ხელოვნება კი ადამიანებს არ ავიწყებინებს ადამიანობას, სიკეთეს, გმირულ სულს უღვიძებს. ჯერ მარტო რამდენი ბრწყინვალე კლასიკური ნაწარმოები შეიქმნა ომის პერიოდში!

მე დავინახე, რა საშინელი სახე აქვს ომს, როგორ ღრმა, მოუშუშებელ ჭრილობებს ტოვებს იგი ადამიანებში, ამიტომ უფრო დავაფასე მშვიდობა. ვფიქრობ, მშვიდობა უდრის ყველაფერს, კაცობრიობის მომავალს! მშვიდობის ფასი უნდა იცოდეს ყველამ! არცერთ ბავშვს, ახალგაზრდასა თუ მოხუცს აღარ

უნდა შეეხოს ომის მტარვალი ხელი. აღარ უნდა დაიმსხვრეს ადამიანების ოცნებები!

ვხვდები, რა მძიმე გზა გაიარა პაპამ (მასთან ერთად, მისმა თაობამ – ომის თაობამ). მიუხედავად ამისა, მიკვირს, ძალიან მიკვირს, როგორ შეინარჩუნა ბოლომდე მებრძოლი, დაუდგრომელი სული, როგორ იღვწოდა და იხარჯებოდა ყოველდღიურად არა მარტო პირადი ცხოვრებისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. ომის შემდეგაც ბევრის გაკეთება მოასწრო განახევრებული ჯანმრთელობის პატრონმა. გადავხედე მის ბავშვობას და ვნახე, რომ მას დაუშრეტელი ენერგია ბავშვობიდან მოსდევდა. ეს ცელქი და ნიჭიერი ბავშვი შრომაშიც გამორჩეული ყოფილა: ზაფხულს დედულეთში ატარებდა ბიძებთან. ძალიან უყვარდა იქაურობა, ბიძაშვილები, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან ადრე გარდაიცვალნენ. ერთ-ერთი მათგანი, ლიზიკო ტროყაშვილი ექიმი იყო. გერმანელი ტყვეების მოვლისას თელავის ჰოსპიტალში დაავადდა ტიფით და გარდაიცვალა 32 წლის ასაკში 1946 წელს.

30-იან წლებში, როდესაც კომუნისტური ტერორი მძვინვარებდა საქართველოში, ზაფხულის ერთ დღეს შოთას ბიძა და ბიცოლა გააკულაკეს, დაიჭირეს და გაამზადეს გადასასახლებლად (მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, მატარებელი ისე ყოფილა გადატენილი „ხალხის მტრებით“, რომ ფიზიკურად ველარ დატიეს და ასე გადარჩნენ გადასახლებას საბოლოოდ). მოსავალი ასაღები ყოფილა და აბა ვინ გაბედავდა ამ ხალხის გვერდში დგომას? 9 წლის ბავშვი მარტო ჩასულა ნაკვეთში და შუაღამისას სულ მარტოდმარტოს დაუტვირთავს და ამოუტანია მოსავალი ურმით. როგორც ჩანს, ცხოვრებას მისი წვრთნა ადრე დაუწყია.

1941 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, სკოლიდან ბევრი წავიდა ომში. ოჯახში კი მხოლოდ მაშინ გაუგიათ, როცა ის უკვე მოხალისედ იყო ჩაწერილი. მამას, რომელიც I მსოფლიო ომის მონაწილე იყო, უთქვამს: „წადი, წადი, სულ ბამბის ტყვიებს დაგიშენენო“, დედა კი ემუდარებოდა: „ნუ წახვალ, ჯერ პატარა ხარო“, მაგრამ ამაოდ... როგორ მესმის ჩემი დიდი ბებიის და პაპის.. რა მძიმე იქნებოდა მათი მდგომარეობა, ყოფა იმ მშობლებისა, რომელთა სამივე შვილი სამხედრო სამსახურში იყო. ძმები ომში, მათი და თინათინი კი – თბილისში, ჰოსპიტალში, როგორც მედიცინის მუშაკი.

მერე იყო ომი, 1941 წლიდან 1945 წლამდე. ფეხით გაიარა ხარკოვიდან ბერლინამდე. ბევრის მოყოლა არ უყვარდა: „ერთი შეცდომა და მკვდარი იყავიო“. მენაღმე იყო. „ცეცხლის შუა ხაზზე ვნაღმავდი. ორივე მხრიდან ისროდნენ, ერთი მხრიდან – გერმანელები, მეორიდან – საბჭოთა ჯარი“. რომ ეკითხებოდნენ: არ გეშინოდაო, პასუხობდა: თუ შეგეშინდებოდა, ტყვია პირველი შენ მოგხვდებოდაო. იხსენებდა ერთ-ერთ ჯარისკაცს. „სროლა რომ ატყდა, ისე შეეშინდა, მთლად აცახცახდა, ფეხზე წამოხტა, ვერაფრით დავაკავე და... ტყვიამაც არ დააყოვნაო“. – ისეთი სინანულით ამბობდა, თითქოს თავს იდანაშაულებდა, როგორ ვერ გადავარჩინეო.

ხშირად იხსენებდა ერთ ეპიზოდსაც: „ერთ-ერთ ხიდზე (სამწუხაროდ არ გვახსოვს ხიდის ადგილმდებარეობა და სახელი) ჩვენი ჯარი უნდა გადასულიყოო“, მაგრამ შოთას არ გაუშვია, „სიგიჟე იყო, ჩაიხოცებოდნენო“. თვით გენერალს შელაპარაკებია და „ხელითაც შევეხეო“ (ღიმილით იგონებდა თურმე). ჯარის ნაწილი შემოვლითი გზით, ჭაობებზე უსაფრთხოდ კი გადაუყვანია, მაგრამ თვითონ დაძაბული ელოდა განაჩენს: „ვფიქრობდი, ალბათ, ტრიბუნალს გადამცემენ გენერლის ცემისათვის, მაგრამ ჯილდო მივიღე ჯარის უსაფრთხოდ გადაყვანისთვის“. დიდი ხნის შემდეგაც კი თვითონვე დაუჯერებლად ეჩვენებოდა ეს ამბავი.

შოთას გამორჩეული, განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს ძლიან სწორი შეხედულება ჰქონდა ყველაფერზე. მას არც თავისი გმირობებით თავის გამოჩენა და ქება უყვარდა, თუმცა მის ცხოვრებაში ბევრი მადლობის ფურცელი და ჯილდო არსებობს: „წითელი დროშის“, ორი „სამამულო ომის I ხარისხის“, „ალექსანდრე ნეველის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მრავალი საბრძოლო და საიუბილეო მედლების კავალერია. დაჯილდოებულია უმაღლესი მხედართმთავრის, ი. სტალინის და სხვადასხვა სამხედრო უწყებების მაღალი რანგის მეთაურთა მადლობებით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, ე. შევარდნაძის მადლობითა და სახელმწიფო სიგელებით. ის იყო აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, საქართველოს სკოლების დამსახურებული მუშაკი, „ღირსების ორდენის“ კავალერი.

ომიდან დაბრუნებულს პენსიაზე უარი უთქვამს, მიუხედავად იმისა, რომ კონტუზირებული და დაჭრილი იყო. ომის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ ტელევიზიით, სამხედრო გადაცემის საშუალებით იპოვეს თანამებრძოლებმა. საოცარი სიხარული იყო მათი შეხვედრა (იხსენებს დედა). მაშინ უთხრეს: „წარდგენილი იყავი საბჭოთა კავშირის გმირობაზეო, მაგარამ რაღაც უკანონობა მოხდა და სხვას მისცესო“. შოთას პასუხი მხოლოდ ღიმილი ყოფილა, გულში კი ვიცი, რასაც იფიქრებდა მისთვის არანაირ ჯილდოს და წოდებას ისეთი ფასი არ ჰქონდა, როგორ ძალიან ბევრი მოკვდავისთვის ამ ქვეყანაზე.

ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას. კვლავ თბილისური ცხოვრება. როგორც აღვნიშე, იმავე წელს ჩააბარა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ბრწყინვალედ, რომელიც დაამთავრა 1951 წელს წითელ დიპლომზე. მალევე აქ დაიწყო მოღვაწეობა და განვლო გზა ლაბორანტიდან პროფესორამდე. მას ძალიან უყვარდა თავისი საქმე, სტუდენტები. ცნობილი იყო, როგორც ძალიან მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ლექტორი. მისი სტუდენტები დღესაც სიყვარულით და პატივისცემით იხსენებენ. ბოლო შვიდი წლის მანძილზე ინსულტის გამო შეზღუდული ჰქონდა მოძრაობა, მაგრამ ცალი ხელით მაინც წერდა და ხაზავდა. სწორედ ამ დროს გამოსცა ატლასი („მანქანათა ნაწილები“) და სამი წიგნი. სიცოცხლის ბოლომდე საოცრად ნათელი გონება ჰქონდა, თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე, პოსტტრავმული სტრესის გამო,

ძილში იწყებდა „ბრძოლას“, თავს არ ანებებდა მტანჯველი მოგონებები ომისა.

და კიდევ ერთი... შოთა სუხანიშვილი შეიძლება მემატიანედაც ჩავთვალოთ. ბერლინის აღების დროს ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქალაქში შევიდა. ჰიტლერის ბუნკერში მის რაზმზე ადრე წესით ვერავინ შევიდოდა, რადგან მათ უნდა გაეწმინდათ ნაღმებისგან. მას ხშირად უთქვამს, ქალაქში რომ შევდიოდით, ბუნკერის ტერიტორიიდან „კუკურუზნიკი“ აფრინდაო. გასანაღმად ჩასულებს კი იქ დახვდათ გებელსისა და მისი ოჯახის ნახევრად დამწვარი გვამები და მთელი მაღალჩინოსნები, უზომოდ გალეშილი რომისგან. რაც შეეხება ჰიტლერს, ის და ევა ბრაუნი არც ცოცხალი და არც მკვდარი არ უნახავს.

როგორ ვწუხვარ, მე ჩემი პაპის საუბრის მოსმენა და მისი ჩაწერა ვერ შევძელი, დავკარგე ძალიან საინტერესო ისტორიის წყარო და დღეს იძულებული ვარ, დავჯერდე ბებიისა და დედის მონაყოლს ამ ყველაფრის შესახებ.

კიდევ ერთი ეპიზოდი პაპაჩემის საბრძოლო წარსულიდან: შოთა სულხანიშვილის ინტერვიუ გაზეთ „კომუნისტის“ ჟურნალისტთან 1983 წელს. “ბოლოს ჰიტლერს რომ გაუჭირდა, სულ ბავშვები და მოხუცები გამოიყვანა. ბერლინთან ბუხენვალდს ვათავისუფლებდით. ერთ სანგარში შევცვივდით, და.. ჩემ წინ ავტომატმომარჯვებული ბიჭია, სულ პატარა, ასე, ცამეტ-თოთხმეტი წლის თუ იქნება. ის არის, უნდა ვწვდე და ავტომატი დამიშინა. ამაცდინა ამ ღლაპმა და ვწვდი კიდეც. ავტომატი წავართვი, კისერში წამოვკარი და.. გავუშვი“! შოთამ ისე გაიღიმა, როგორც ჩვენ ვუღიმით პატარებს, სათამაშო ავტომატის ჯერს რომ მოგვაყრის „ტახ-ტახ-ტახის“ ძახილით. ჩემ წინ იჯდა ეს დარბაისელი კაცი და ვიღაცას უღიმოდა, ვიღაცას კი არა, მკვლელს უღიმოდა. ვინ იცის, იქნებ სასარგებლო კაცი დადგა ის ბიჭი, თუ ასეა, ალალი იყოს ქართველი ოფიცრის, შოთა სულხანიშვილის მიერ ნაბოძები სიცოცხლე. ნეტა შემეძლოს, ქვეყანას გავაგონო, რომ მაშინ ის ქართველი ოფიცერი თვითონ ოცდაერთი წლისაც არ იყო. (ჟურნალისტი რეზო დავალიშვილი)“.

აი, ასეთი იყო ჩემი წინაპრის ცხოვრება და როგორც ჭაბუა ამირეჯიბი ამბობდა დათა თუთაშხიას პირით: „ადამიანის ცხოვრება მის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საქციელთა ჯამია, ჩვენი საქმეების შენობა ჩვენივე ზნეობის საძირკველზე დგას“. თუ ეს ასეა, მაშინ მე შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ მყავდა წინაპარი, რომლის ცხოვრებაც ომის ქარცეცხლში ნაწრთობი, კაცთა მოდგმის სიყვარულით ნასაზრდოები, საამაყო და მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობისთვის!

დამხმარე ლიტერარატურა:

1. „Военные мемуари маршала инжинерних воиск В. К. Харчеко «Специального назначения“, Воениздат.

2. Antony Beevor, „Berlin The Downfall 1945“, Viking, 2002

3. გაზეთი „კომუნისტი“, 1983წ., სტატია „დასასრულის დასაწყისი“, ავტორი: რ. დვალიშვილი

საღომე ვახამიშვილი, 16 წლის

გოგიტა კიკნაძის სახელობის სსიპ ქალაქ თბილისის 182-ე საჯარო სკოლა, მე-10 კლასი

პედაგოგი: ეკა გოჩგაძე



ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში

ლელიანი პატარა სოფელია, მაგრამ დიდი გულის ხალხი ცხოვრობს. ბევრს, შეიძლება, არც კი სმენია მის შესახებ, თუმცა ლაგოდეხის რაიონის ამ მხარეში ერთხელ რომ მაინც მოხვდეთ, დამიჯერეთ, წამოსვლა აღარ მოგინდებათ. შესაძლოა, კულტურული ძეგლების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ მას მთავარ ხიბლს მისი მაცხოვრებლები მატებენ – ხალხი, რომელიც ისტორიას ქმნის, ბევრისთვის უცნობს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოსაც, თუმცა მათი, ჩვეულებრივი ადამიანების გარეშე არცერთ ეპოქას არ ექნებოდა ის ფასი, რომელიც მას ახლა აქვს და ის ძალა, რომელიც მას ოდესმე გააჩნდა.

ლელიანი ის სოფელია, რომლის დასახლებაც 1905 წლიდან დაიწყო. 113 წლის წინ იმერლები და რაჭველები თავიანთი საქონლითა და სარჩო-საბადებლით ჩამოსახლდნენ ამ ვაკე ადგილას. ავსა თუ დარში, წვიმასა თუ მზეში ახალი ცხოვრების დაწყების იმედით გაიარა ამ ხალხმა 500 კილომეტრი ფეხით. ვინ იცის, იქნებ დღემდეა შემორჩენილი მათი ნაკვალევი იმ ისტორიულ მიწაზე, რომელზეც 20 დღე-ღამე მოაბიჯებდა ადამიანი უკეთესი მომავლის რწმენით.

ლელიანში უამრავი ნადირ-ფრინველი და გაუვალი ტყე დახვდათ. ხეებს ჭრიდნენ და სახლებს აშენებდნენ. ამ ადგილმა დასავლეთელები სტუმართმოყვარეობით მიიღო და მათ ნაყოფიერი ნიადაგი და ჰავა უბოძა. ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომში მათ სამშობლოდ იქცა, ფართოდ იყო გავრცელებული მცენარე ლელი, ამიტომაც ხალხმა თავის ახალ კერას ლელიანი უწოდა. მადლიერნი იყვნენ ახალი ცხოვრებით, გახარებულნი ამბობდნენ: აქ კვახი იმხელა იზრდება, რომ შიგ გოჭებიანი ღორის მოთავსება შეიძლება, სიმინდის ღერო კი იმსისხოა, რომ ზედ ძროხის დაბმაც შეიძლებაო.

ადამიანი, რომელზეც უნდა მოგითხროთ, ლელიანში პირველად დასახლებულთაგანის შვილთაშვილია. ის იმ ხალხის შთამომავალია, რომელმაც ეს ადგილი ჭაობიდან ლამაზ სოფლად გადააქცია. ის არის ადამიანი, რომელმაც 81 წლის ასაკში თავისი გამოცდილება გამიზიარა და ბევრ რამეზე დამაფიქრა.

1936 წელს დაიბადა რაჟდენ მუმლაძე – შემდგომში სოფლის უხუცესი. სულ ხუთი დედმამიშვილი ჰყავდა. ცხოვრობდნენ დროში, სადაც მცირეწლოვანება ვერ იხსნიდა განგების კლანჭებისაგან. პატარაობიდანვე ეკისრებოდათ ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში, ჩემი ასაკის მოზარდისთვის წარმოუდგენლადაც მეჩვენება. 1947 წელს რაჟდენს მამა გარდაეცვალა, 11 წლის ასაკში მთელი პასუხიმგებლობა მასზე გადავიდა: სახლის საქმეები, დედმამიშვილებზე ზრუნვა, ოჯახის მატერიალური მომარაგება – ყველაფერი ეს თავისი დეტალებით ევალებოდა ბავშვს, რომელიც დაიბადა დროში, სადაც აუცილებელია იშრომო, რომ გადარჩე.

იმ პერიოდში, როგორც მთავარი გმირი გვიყვება, მეთამბაქოეობა იყო განვითარებული. დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა მას მისდევდა. არც

რაჟდენი ყოფილა გამონაკლისი, მასა და ბევრ მის თანატოლს დაინახავდით თამბაქოს პლანტაციებში პატარა, უკვე გაუხეშებული ხელებით მომუშავეს. „პაპანაქება სიცხეში ვმუშაობდით, ოფლი გვასხამდა, მზისგან დამწვარნი და გაშავებულნი ვიყავით. უდიდესი მოთმინება იყო საჭირო, მაგრამ ჩვენ უკვე მიჩვეულნი ვიყავით, ვიცოდით, რომ ამ შრომის შედეგად ოჯახს დავაპურებდით, დაკრეფილ თამბაქოს ხორბალზე გადავცვლიდით, ან მიღებული ანაზღაურებით ცოტა ხანს მაინც გავიტანდით თავს“.

ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში მიწაზე იყო შეყვარებული. რაჟდენი ჩემი დიდი ბაბუაა. მისი საუკეთესო მეგობარი ვაზი იყო. მთელი წელი უვლიდა. წელიწადის ოთხივე დრო და თორმეტივე თვე მასზე ზრუნვაში ატარებდა, ხან სხლავდა, ხან აკავებდა, ხან ძირებს უბარავდა, ამაგრებდა, სასუქი შეჰქონდა, წამლავდა, მუდმივად მის ზრუნვაზე ფიქრობდა. როგორც კი მოვიცლიდი, გავიქცეოდი და ვაზს ვეფერებოდი – ამბობს თავად. სოფლის მეურნეობა იყო ის, რის გარეშეც გლეხი გლეხად არ იწოდებოდა. „მახსოვს, პატარა ვიყავი, ვაზთან ვიჯექი, იქვე ახლოს პატარა ნაჯახი დავინახე, მეც არ ვიცი, თავში აზრად ასეთი რამ რატომ მომივიდა, ონავარი ვიყავი. ავიღე ნაჯახი და ვაზს შუაგულში ჩავარტყი. ტირილი დაიწყო. მეც ავქვითინდი. ვიჯექი თავჩარგული და ვტიროდი. ერთი შეხედვით, რაღაცნაირი, დანაოჭებული ხე იყო, მაგრამ წარმოვიდგინე, როგორ ეტკინა და მეც თვალები ავიწითლე, იმდენი ვიტირე“.

დრო გადიოდა. რაჟდენის ყოველდღიურ რუტინას მხოლოდ შრომა კი არა, მუსიკაც შეადგენდა. ეს მისი განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც მამა-პაპისგან გადმოჰყვა და შემდგომში განაგრძობდა კიდეც შთამომავლობისთვის მის გადაცემას. მუსიკა იყო ის, რაც სოფელს ყოველ საღამოს აცოცხლებდა. დამღლელი დღის შემდეგ ყველანი იკრიბებოდნენ, ვისაც რა ჰქონდა, მოიტანდნენ და ლელიანი ერთ დიდ ორკესტრს ემსგავსებოდა ხოლმე. ამ დიდ ჟრიამულს, დროსტარებასა და ცეკვა-სიმღერას „თემობია“ ერქვა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რაჟდენის განუყოფელი ნაწილი იყო. მისი ცხოვრება ერთი დიდი „მელოდიაა“, რომლის შექმნაც დღემდე გრძელდება და რომლის „ნოტებსაც“ ჩემი დიდი ბაბუა დღემდე წერს.

მისი „მელოდია“ ხან მინორული, ხან კი მაჟორული ჟღერადობით იქმნებოდა. თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრების მძიმე წუთებთან ერთად, ყოველთვის არსებობდა ის ბედნიერი წამები, რომლებიც დაბრკოლებების გადალახვაში ეხმარებოდა: „მაშინ, როდესაც შრომით გარჯილნი ვიყავით, როცა პატარა, გაუხეშებული თითებით გვიწევდა მუშაობა, ყოველთვის ვიცოდით, რომ დადგებოდა კვირის ბოლო და „თემობიაზე“ ყველანი ერთად ვიქნებოდით ბედნიერნი. ეს იყო ჩვენი იმედი, გულის სიღრმეში შემონახული ნაპერწკალი, რომელიც გაღვივდებოდა ხოლმე და მთელ სოფელს გვათბობდა“. ნეტავ, ერთხელ მაინც შემახედა იმ პატარა რაჟიკოსათვის, რომელსაც გულისცემა უჩქარდებოდა და სახის გამომეტყველება უცბად ეცვლებოდა. „როცა მუშაო-

ბის დროს ვინმე ომახიანად დაიწყებდა ხოლმე სიმღერას და მას ყველანი ვყვებოდით, ხმებს ვუთანხმებდით ერთმანეთს. მზეში მოციმციმე ერთ დიდ მხარეს ემსგავსებოდა ხოლმე ჩვენი სოფელი. სწორედ ეს ყველაფერი აძლევდა ჩვენ ეპოქას ხიბლს. მაშინ ხალხი ერთი, მთლიანი ძალა ვიყავით და იმაზე მტკიცედ ვედექით ერთმანეთს გვერდში, ვიდრე ეს ახლა ხდება“.

ლელიანი იცვლებოდა, იხვეწებოდა. მისი მოსახლეობა უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა სოფლის კეთილმოწყობაზე. გზების შეკეთება იყო საჭირო. რაჟდენი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელმაც ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ლელიანის კოლმეურნეობის მექანიზატორებად ითვლებოდნენ და ისინი ერთად ცდილობდნენ სოფელში, რაც შეიძლება, მოხერხებული გარემო შეექმნათ.

რაჟდენის პროფესიულ წინსვლასთან ერთად იცვლებოდა ტექნიკაც: „მახსოვს, ჯერ სამთვლიან ტრაქტორზე ვმუშაობდი, შემდეგ ოთხთვლიანზე, ბოლოს კი, 1968 წელი იყო, როცა პირველად მე მივიღე ექსკავატორი“.

სწორედ რაჟდენისა და მისი კოლეგების დამსახურებით იქცა ჭაობიანი ადგილები ტრანსპორტისთვის გამოსადეგ გზებად. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ წყლის სისტემა იმდენად ორგანიზებულადაა შექმნილი, რომ ლელიანში თითოეულ სახლში მუდმივად მოჩუხჩუხებს წყაროს წყალი.

გარდა იმისა, რომ ჩემი დიდი ბაბუა სოფლის რესტავრაციაზე ზრუნავდა, მუდმივად მზად იყო, ადამიანებს დახმარებოდა. არ ვიცი, რასაც ახლა მოგითხრობთ, გინდ წარმართული გადმონაშთი დაარქვით, გინდ სასწაული, თუმცა სოფელში ხალხის უმრავლესობას სწამს რაჟდენის შელოცვების. ეს არის სიტყვები, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო და, როგორც თვითონ ამბობს, სიზმარშიც იხილა ზოგიერთი მათგანი. მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ხალხი მასთან მიდიოდა და სთხოვდა, შეელოცა იმისთვის, რაც მას აწუხებდა. მეც ბევრჯერ მინახავს ადამიანები, რომლებიც მასთან შიშის გაქრობის თხოვნით მიდიოდნენ და ბაბუაც, წესისამებრ, შავტარიანი დანით და ,,უბარი“, დასალევი წყლით უკითხავდა მათ შიშის ლოცვებს, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „გულო, ჩადი საგულესა, შეგიკერავ საქუდესა“. არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამ ფაქტს, თუმცა თითოეული მასთან მისული ამბობს, რომ შელოცვებმა შედეგი გამოიღო. ის კი არა, სოფელში ხმებიც დადის, რაჟდენმა ცხენს შეულოცა და მან მთქნარება დაიწყოო.

მე მეამაყება ჩემი დიდი ბებია-ბაბუას სიყვარული. როგორც თვითონ ამბობენ, ერთმანეთი ჯერ კიდევ მერხიდან უყვარდათ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა არც კი ესმოდათ ზუსტად, რა იყო ეს გრძნობა, თუმცა თავიდანვე ხვდებოდნენ, რომ მათ შორის რაღაც კავშირი არსებობდა. დრო გადიოდა, ასაკი ემატებოდათ და მათი სიყვარული უფრო მეტად მტკიცე ხდებოდა. ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარდათ. იშვიათია ასეთი ერთგულება, პატივისცემა და კიდევ ის ბევრი ნიუანსი, რის გარეშეც ასეთ ურთიერთობას სუბსტანცია არ ექნებოდა.

ახლა უნდა შევეხო საკითხს, რომელმაც ყველაზე მეტად იმოქმედა ჩემზე. ლენა და რაჟდენი არის წყვილი, რომელმაც უამრავი დაბრკოლება გადალახა ერთად. ათას გასაჭირს ჩახედეს თვალებში, ისწავლეს, როგორ უნდა დახვდნენ პრობლემას, როგორ გაუმკლავდნენ მას და დღემდე იკლავენ წლების წინ მიყენებულ ტკივილს გულში. როცა მათ ისტორიებს ვისმენდი, მათ საუკუნეში გადავეშვი, თითქოს წამიერად გამირბინა თვალწინ ყველაფერმა იმან, რამაც მოახერხა და ჩემს ბებია-ბაბუას სიცარიელე დაუტოვა გულში. ომი. ის ჩემთვის მხოლოდ თარიღები, ან თუნდაც ფურცელზე ჩამოწერილი ფაქტები არასდროს ყოფილა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის ჩემი წინაპრების, მაშასადამე, ჩემი ნაწილიც იყო, მაგრამ ემოციურად ისე არასდროს უმოქმედია მას ჩემზე, როგორც მაშინ, როცა ვუსმენდი მისი რისხვა როგორ დაატყდა ჩემს ოჯახს თავს. ფანტაზიებში წასული მეოცე საუკუნიდან რომ დავბრუნდი, ბებოს და ბაბუას თვალები აცრემლებული ჰქონდათ. მე ჯერ გათიშული ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ერთად მემღვრეოდა გონებაში ყველაფერი. მერე თითქოს გონს მოვედი, უფრო კარგად მესმოდა და გულს მაშინვე მძიმედ მოხვდა სიტყვები: „გლეხებს მიწას სწყვეტდნენ და სამხედრო სამსახურში მიჰყავდათ.“ ერთი წუთით წარმოვიდგინე მიწაზე და ოჯახზე შეყვარებული გლეხი, რომელიც ორივე მათგანს ტოვებს და ხელის ქნევით ემშვიდობება მათ სამხედრო მანქანაში მჯდომი. ყველაფერმა კადრებად გამიარა თვალწინ. მთელი ორი დღე ვისმენდი ჩემი დიდი ბებია-ბაბუასგან მათი ცხოვრების დეტალებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უმოქმედია ჩემზე ისე, როგორც ეს ომის ნიუანსების მოყოლის დროს მოხდა. გლეხებს მიწას სწყვეტდნენო, ბაბუამ რომ თქვა, ამ სიტყვების შემდეგ დუმილი ჩამოწვა. გავჩუმდით და სამივეს ჩვენი საფიქრალი გვქონდა. დუმილი რაჟდენმა დაარღვია: „ძალიან პატარა ვიყავი, ჩემი ბიძაშვილები მეორე მსოფლიო ომში რომ წაიყვანეს, მახსოვს, ზედმეტად თბილად მექცეოდნენ, მეთამაშებოდნენ, სულ იღიმოდნენ, ეჰ! იმის შემდეგ ის ღიმილი აღარც მინახავს. ყოველდღე ველოდი, იმედს არ ვკარგავდი, მჯეროდა, რომ დადგებოდა დღე და მათ ისევ ვნახავდი, თუმცა ამაოდ. იმ დღეს უკანასკნელად დავინახე მათი გაღიმება და გავიგონე გამოსამშვიდობებელი სიტყვები.“ სათქმელი დაასრულა და ლენას გახედა, ბებოც მიხვდა, რა იგულისხმებოდა იმ გამოხედვაში და მოყოლა დაიწყო, ოღონდ ნელა ყვებოდა, ცდილობდა ემოციები მოეთოკა, თუმცა ამაოდ. – „ჩემი ძმებიც წაიყვანეს, გიორგი და აქვსენტი, 17-18 წლის ყელტიტველა ბიჭები მოსწყვიტეს თავიანთ სამშობლოს. წაიყვანეს და მე აქ ისღა დამრჩენოდა, მათთვის მელოცა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აქვსენტი დაბრუნდა, გიორგისგან წერილებს ვიღებდით. ეს წერილები იყო ჩვენი ერთადერთი იმედი, მამოძრავებელი ძალა. ისინი მაცოცხლებდა და ნუგეშს მმატებდა. წერილი მივიღე, სადაც ჩემი ძმისა და მისი მეუღლის ფოტო იდო. თურმე რძალი მყოლია. უდიდესი სიხარული ვიგრძენი, წასვლა მინდოდა, მაგრამ სად მივდიოდი?! მიხაროდა და ღმერთს მადლობას ვწირავდი, თუმცა თვითონაც ვიცოდი, რამხელა სევდა იმალებოდა

ამ სიხარულის უკან.

ამის შემდეგ კიდევ ერთი წერილი მივიღე, სწრაფად გავხსენი იმ იმედით, რომ წავიკითხავდი რაიმე ისეთს, რაც ცოტა მაინც შემმატებდა მხნეობას. ამაოდ. რა ვიცოდი, რომ ეს უკანასკნელი წერილი იქნებოდა?! გავხსენი და წავიკითხე: „ჩავვარდი საზიზღრების ხელში“. იმის შემდეგ შეტყობინება აღარ მოსულა. ჩემი პატარა ძამიკო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება“.

უარყოფითი ემოციები უფრო მეტად ნეგატიური გახდა. სიტყვები, „ჩავვარდი საზიზღრების ხელში“, კიდევ დიდხანს ჩამესმოდა ყურში. ჩემმა წინაპრებმაც და მეც, მათმა შთამომავალმა, თავები დავხარეთ. მე რაღაც ძალამ დამადუმა, უსამართლობის ძალამ, რომელიც, ჩემი დიდი ბებიას თქმით, „ყელტიტველა“ ბიჭებს სამშობლოსა და ოჯახს სწყვეტდა და სამუდამოდ მიჰყავდა. ისინი კი, მეოცე საუკუნის ორი გმირი, რაჟდენ მუმლაძე და ლენა შავლოხოვი, ვინ იცის, მოგონებათა რამდენ წყვდიადში გადაეშვნენ.

ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში, ალბათ, ვერც კი იფიქრებდა, რამხელა ისტორიას ქმნიდა. ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში სერიოზულ ვალდებულებებს უმკლავდებოდა. ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში, „დამწვარი და გაშავებული“, უდიდესი მოთმინებით შრომობდა. მიუხედავად ამდენი გარჯისა, ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში იმაზე ათმაგად შეკრულ და მოსიყვარულე საზოგადოებაში ცხოვრობდა, ვიდრე ჩემი თაობის რომელიმე წარმომადგენელი. ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში აგებდა გზებს, ზრუნავდა სოფლის კეთილმოწყობაზე და ბოლოს, ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში ქმნიდა ეპოქას, რომელმაც დღეს მე აქამდე მომიყვანა და მომცა შესაძლებლობა, რომ გავიგო, თუ როგორი იყო ჩემი წინაპარი ჩემს ასაკში.

ისტორია ყველაგანაა. მის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია ცხოვრება. ის წინაპრებისა და შთამომავლებისგან შეკრული ერთი დიდი სისტემაა, რომელიც დროის სამივე განზომილებას მოიცავს.

ახლა თამამად შემიძლია ვთქვა ის, რაც დასაწყისში ვახსენე – ხალხი ერთი შეხედვით უმნიშვნელო ისტორიას ქმნის, თუმცა მათი, ჩვეულებრივი ადამიანების გარეშე, არც ერთ ეპოქას არ ექნებოდა ის ფასი, რომელიც მას ახლა აქვს და ის ძალა, რომელიც მას ოდესმე გააჩნდა.

ილია ჭავჭავაძემ თქვა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს“. ასე რომ, ნუ დავივიწყებთ, საიდან მოვდივართ. ნუ დავივიწყებთ არა მხოლოდ წიგნებიდან ამოკითხულ ფაქტებს, რომლებიც ყველასთვის ცნობილია, არამედ გვახსოვდეს, როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები ჩვენს ასაკში, უფრო ახლოდან ვიცნობდეთ მათ მოღვაწეობას, სიამოვნებას გვგვრიდეს მათი ისტორიის კვლევა და ვიღებდეთ მაგალითებს, რომლებსაც მომავლის შექმნაში გავითვალისწინებთ.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი წინაპარიც იყო ჩვენს ასაკში და უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია იმისთვის, რომ ჩვენთვის საარსებო გარემო შეექმნა.

გვახსოვდეს ჩვენი წინაპრები!

ია ფანგანი, 16 წლის

მესტიის ჰაიონის სოფელ
წვიმის საჯარო სკოლა
მე-10 კლასი,
პედაგოგი: გიორგი გვასალია.



საბჭოური სვანეთი ჩემს ფიქრებში

საბჭოთა წარსული მე-20 საუკუნის სვანეთში ისეთივე მძიმე იყო, როგორიც მთელ საქართველოში. ამიტომ ჩემი მიზანი იყო, გამომეკვლია საბჭოთა წარსული მე-20 საუკუნის წვირმში და გამეგო, როგორები იყვნენ საბჭოთა რესპუბლიკის დროს ახალგაზრდები, რას წარმოადგენდა მათი ყოველდღიურობა და რით იცვლებოდა იგი მე-20 საუკუნის სხვადასხვა პერიოდში, რა აწუხებდათ და რა უხაროდათ ყველაზე მეტად? რით იყვნენ გატაცებულნი? რას უთმობდნენ ბავშობის ყველაზე მეტ დროს? რაში იყვნენ შეზღუდულები? იყო თუ არა მათ დროს ტრანსპორტი და რით გადაადგილდებოდნენ? იყო თუ არა ტელეკომუნიკაციები? ძირითადად რას უსმენდნენ? რომელი არხები იყო, ან საერთოდ იყო თუ არა თუნდაც შავ-თეთრი ტელევიზორები? როგორ იგებდნენ ქვეყანაში მომხდარ სიახლეებსა და ცვლილებებს? როგორი ფასები იყო დღევანდელთან შედარებით? როგორი იყო მათი მატერიალური მდგომარეობა? რით ირჩენდნენ თავს? როგორ სწავლობდნენ და ეწყობოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ან თუ ჰქონდათ მათ მშობლებს საშუალება, შვილებისათვის უზრუნველი მომავალი შეექმნათ და ამისთვის რას აკეთებდნენ? სად ერჩივნათ ადამიანებს ცხოვრება - სოფელში, თუ ქალაქში? როგორ ტარდებოდა მათ დროს ქორწილი და იყო თუ არა უფრო დაფასებული თუნდაც მეგობრობა, ნათესაობა, ამხანაგობა და ურთიერთპატივისცემა? და შემდეგ ეს ყველაფერი შემედარებინა დღევანდელი დროისა და თაობისათვის.

ბევრ ადამიანს, რომელიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდა, მათ შორის ბაბუაჩემს, გოლია ფანგანს, 1960-1970-იანი წლების საქართველო მოენატრა, პერიოდი, რომელიც დღევანდელ თაობას სურს, რომ შავბნელ და, შესაბამისად, ჩამორჩენილ პერიოდად წარმოაჩინოს.

მაგრამ არის კი ასე?

ბაბუა ფიქრობს, რომ ის დრო უფრო საინტერესო და დასაფასებელია, ვიდრე დღევანდელი, თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობა ენატრება. მართალია, 93 წლისაა, მაგრამ, როცა ჩემი ასაკის იყო, დაახლოებით 1939-1940 წლები იქნებოდა – პერიოდი, როდესაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაციობრიობის ისტორიაში, თუმცა, რადგან ბავშვობა მაინც ყველაზე ტკბილი მოგონებებითაა სავსე, ამიტომ განვიხილოთ მისი ერთი ჩვეულებრივი დღე.

ერთი ჩვეულებრივი დღე

ბაბუას დროს სკოლა მხოლოდ 9-კლასიანი იყო. თვითონ დილის 7 საათზე დგებოდა, სკოლა კი 9-ზე იწყებოდა, მას ჰყავდა ცხენი, რომელიც ძალიან უყვარდა. ყოველ დილით მას მოინახულებდა ხოლმე, მაშინ მას გადასაადგ-

ილებლად იყენებდნენ, დღეს კი ტურისტული მიზნებისთვის გამოიყენება. ცხენს აჭმევდა და სასეირნოდ გაჰყავდა. მისთვის ამინდს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მოღრუბლულ ამინდშიც ჩვეულებრივ დიდი სიხარულით სეირნობდა, იქიდან დაბრუნებული კი სწრაფად მოწესრიგდებოდა, გადასძახებდა მეზობელ ბავშვებს და ყველა ერთად, ცეკვა-სიმღერით მიდიოდნენ სკოლაში. ბაბუას სკოლა ძალიან უყვარდა და კარგადაც სწავლობდა (სკოლის საგნებიდან, განსაკუთრებით, „არითმეტიკასა და ხატვას“). მან მითხრა, რომ მის ასაკში არ ყოფილა ასეთი „პასტები და კარანდაშები“, ისინი მელნით წერდნენ, რომლის შოვნაც ხშირ შემთხვევაში რთული იყო (ამიტომ ხშირად ნახშირითაც უწევდათ დაწერა). წიგნები კი მუქი ტყავისაგან მზადდებოდა, რომელზეც ასოების გარჩევა რთული იყო, რაც თვალებს ძალიან უღლიდათ, დღეს კი, როცა ჩემს წიგნებს ათვალიერებს, ამბობს: „ნეტა მეც ადრინდელივით შემეძლოს წიგნების კითხვა და მეცადინეობა, არ დავიზარებდიო“. ხოლო რაც შეეხება სკოლას, იქ კარგ დროს ატარებდა, რადგან ბავშვები მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებში, მაგ. ცეკვის გაკვეთილები კვირაში 3-ჯერ ჰქონდათ, ჰყავდათ 30-კაციანი გუნდი, რომელსაც ასწავლიდნენ ქართულ ხალხურ და სვანურ ცეკვა-სიმღერებს. ბაბუამ თქვა, რომ ამ 30-კაციანი გუნდიდან 25-ს ის და მისი კლასელები შეადგენდნენ, შემდეგ კი, როცა კარგად მოემზადებოდნენ, რაიონში ჰქონდათ გამოსვლა, ასევე კარგად თამაშობდნენ ფეხბურთს და მეზობელი სოფლის ახალგაზრდებთან ატარებდნენ თასის გათამაშებას. ემზადებოდნენ და ვარჯიშობდნენ ქართულ ჭიდაობაში.

თავისუფალი დრო სკოლის შემდეგ

როდესაც სკოლიდან ბრუნდებოდნენ, მეზობელ კლასელებთან რიგ-რიგობით იკრიბებოდა სამი-ოთხი ბავშვი და საშინაო დავალებებს ერთად ამზადებდა, მეცადინეობის დასრულების შემდეგ კი ყველა გარეთ გადიოდა და მთელი უბნის ბავშვები ერთად იკრიბებოდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ, ზამთარში კი თხილამურებითა და ციგებით სრიალებდნენ სოფლის დაღმართებზე, ასევე უფროსებს აკვრევინებდნენ სხვადასხვა საკრავებზე, მაგ: ფანდურსა და ჭუნირზე, შემდეგ თვითონაც სწავლობდნენ დაკვრას ასევე ფეხსაც უწყობდნენ, შემდეგ გვიან იშლებოდნენ და ყველა სახლებში ბრუნდებოდა, ივახშმებდნენ, ლამპის შუქზე გაკვეთილებს გადახედავდნენ და დაახლოებით 10 საათზე იძინებდნენ. იმ პერიოდში დაკვრა ყველამ იცოდა და, როგორც მსმენია, ბებია ადრე კარგად უკრავდა ფანდურზე, შეეძლო ყველანაირი სიმღერა დაეკრა, მაგრამ, რადგანაც ძმის გარდაცვალება ძალიან განიცადა, მას შემდეგ მხოლოდ ჩვენი თხოვნით სიმებს თუ აწყობს, თუმცა, მისი ძმის გარდაცვალებიდან უკვე 15 წელია გასული. დღეს კი სოფელში მხოლოდ ორმა ადამიანმა, 86 წლის რადიმ ნავერიანმა და 35 წლის სოფო გიგლმენიანმა იციან დაკვრა.

ჩემი ჩვეულებრივი დღე

ვფიქრობ, ჩემი სკოლის პერიოდი სრულიად განსხვავდება ბაბუას ერთი ჩვეულებრივი დღისაგან, განსხვავება არის ასაკშიც – როდესაც ბაბუაჩემი 16 წლის იყო, ის მე-9 კლასში სწავლობდა, ახლა კი მეც 16 წლის ვარ და მე-10 კლასში ვსწავლობ. მე დილის 8 სათზე ან 9-ის ნახევარზე ვდგები, სკოლა 10 საათზე მეწყება. ის ახლა 12-კლასიანია ბაბუას სკოლისგან განსხვავებით. დილით ვწესრიგდები, ვსაუზმობ, ვიმეორებ გაკვეთილებს, სოციალურ ქსელში სიახლეებს ვათვალიერებ ხოლმე და თან სკოლაში მივდივარ. სკოლა შორს არ არის, ამიტომ დროში თავისუფლად ვეტევი. თითქმის ყოველდღე 6 ან 7 გაკვეთილი მაქვს. დაახლოებით 3 საათზე სახლში ვბრუნდები, სკოლიდან მოსვლის შემდეგ ერთი საათი ვისვენებ, შემდეგ ვმეცადინეობ, საშინაო დავალებებს ვასრულებ, რისთვისაც მაქსიმუმ 5 საათი მჭირდება. როცა მეცადინეობას ვამთავრებ, უკვე საღამოა და გარეთ არ გავდივარ, არც წრეებზე არ დავდივარ მათი არარსებობის გამო. თავისუფალ დროს ვუთმობ კლასგარეშე ლიტერატურას, ან ტელეფონსა და კომპიუტერს. ტელევიზორს ძალიან იშვიათად ვუყურებ, ისიც მაშინ, თუ ფეხბურთია და „ბარსელონა“, ან მადრიდის „რეალი“ თამაშობს, შემდეგ გადავხედავ განვლილ მასალას სხვადასხვა საგანში, ვვახშმობ და დაახლოებით პირველ-ორ საათზე ვიძინებ.

კომუნიკაცია

ბაბუას ვკითხე, თუ როგორ იგებდნენ სიახლეებს, იყო თუ არა მათ დროს ტელევიზორი, ან თუნდაც საკაბელო ტელეფონი, რომლის კაბელიც მესტიიდან შემოჰქონდათ სოფლებში, ასევე რომელ სიმღერებს უსმენდნენ? იყო თუ არა სოფელში მაღაზია, რისი შოვნა შეიძლებოდა და რისი – არა? ასევე, როგორი ფასები იყო და იყვნენ თუ არა მონათლულები და რამდენად ხშირად დადიოდნენ ეკლესიებში დღესასწაულებზე?

მან მითხრა, რომ, როცა ჩემი ასაკის იყო (16 წლის), სიახლეებს სოფლის თავკაცი აგებინებდა ყველას, ის აგზავნიდა კაცს სხვადასხვა სოფლებსა და რაიონში, რათა გაეგო ახალი ამბები. იმ დროს არც ტელევიზორი ყოფილა. სოფელში მხოლოდ რამდენიმე ოჯახს ჰქონდა ძველი რადიო და ამ მოწყობილობის დასათვალიერებლად და მოსასმენად ბავშვები ხშირად სტუმრობდნენ ამ ოჯახებს, რადგან მათთვის ეს უცხო და საინტერესო მოწყობილობა იყო. მათ ეგონათ, რომ შიგნით ადამიანები ისხდნენ და საუბრობდნენ, იმ დროს არც საკაბელო ტელეფონები ყოფილა. ისინი გვიან შემოვიდა, როცა ბაბუას ჯარიც უკვე მოხდილი ჰქონდა, სხვათაშორის, ამ ტელეფონებს ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აღარ იყო საჭირო სოფლის თავკაცს ვინმე გაეგზავნა სიახლეების გასაგებად.

დღეს კი ტექნიკა იმდენად განვითარებულია და კომუნიკაციის იმდენი სა-

შუალება არსებობს, რომ თავისუფლად შეიძლება სახლიდან გაუსვლელად ყველანაირი ინფორმაციისა და საინტერესო სიახლეების გაგება და ეს სრულებითაც არ არის ძნელი. მაგალითად, ტელევიზორი, რომელიც ბაბუასთვის საყვარელი გამოგონებაა, მას ბევრ სიახლეს ამცნობს და აქვს არხების მრავალფეროვანი არჩევანი, განსხვავებით ადრინდელისგან, როცა იყო შავ-თეთრი ტელევიზორები მხოლოდ ორი არხით, რომელთაგანაც ერთ-ერთი რუსულენოვანი იყო.

ბაბუამ, გოლია ფანგანმა მითხრა, რომ მისი საყვარელი ფეხბურთის გუნდი იყო თბილისის „დინამო“, საყვარელი ფეხბურთელი კი – ბორის პაიჭაძე, ასევე იმ პერიოდში უმეტესობა უსმენდა საბჭოთა რუსულ სიმღერებს, მაგრამ სოფელში ძირითადად თვითონ მღეროდნენ ქართულ ხალხურ და სვანურ სიმღერებს: „შინაორგილს“, „ლილეს“. ყოველ თვე ახალგაზრდები სცენაზე გამოდიოდნენ დამუშავებული ცეკვა-სიმღერით, რომლითაც ანებივრებდნენ მაყურებელს, რომელიც დიდი სიამოვნებით ესწრებოდა ამ კონცერტებს.

სხვათაშორის, მაშინდელივით ახლანდელი სკოლის მოსწავლეებიც ვატარებთ კონცერტს, მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ისიც წინასაახალწლოდ, ძირითადად ჩვენი ინიციატივით. იმ პერიოდში კი სოფელ წვირმის ცენტრში არსებობდა ხალხური ცეკვის წრე, უფრო გვიან კი მუშაობდა კინოკლუბი, ახლა კი ამ შენობაში ძიუდოს დარბაზი, სამედიცინო ამბულატორია და გამგებლის კაბინეტია.

ინფრასტრუქტურა

გოლია ბაბუამ მითხრა, რომ იმ დროს წვირმში ერთი დიდი მაღაზია ყოფილა, სადაც თითქმის ყველა საჭირო ნივთის შეძენა შეიძლებოდა, ყველანაირი პროდუქტის. ეს იქნებოდა ფქვილი, შაქარი, მარილი, ხილ-ბოსტნეული, ტკბილეული თუ რძის ნაწარმი და ა.შ. ფასებიც შესაბამისად ნორმალური იყო და არავის უჭირდა, რადგან იმ პერიოდში სოფელში იყო დიდი კოლმეურნეობა და კოლმეურნეობის ხალხი ბევრს შრომობდა. ხელფასი კი არ იყო მათი მუშაობის შესაბამისი, მაგრამ მაშინ, დღევანდელისგან განსხვავებით, დაბალი ფასები იყო. თუმცა, იქ ვალდებულნი იყვნენ, ემუშავათ (ოჯახიდან რამდენიმე ადამიანს). მათ ძირითადად ევალებოდათ ფიზიკური მუშაობა, კონკრეტულად მესაქონლეობა და ასევე მიწათმოქმედება, თესავდნენ კარტოფილსა და კანაბისს, იგივე პლანს, რომელიც კარტოფილზე მეტად იყო გავრცელებული და ის გამოიყენებოდა პრაქტიკული მნიშვნელობით, მაგალითად, თოკის დასამზადებლად, მისგან ამზადებდნენ ზეთს, რომელსაც შემდეგ საჭმელებში იყენებდნენ, ურევდნენ კუბდარსა და ხაჭაპურში, მოსაწევად არავინ იყენებდა. ახლა ძალიან ცოტაა და არამიზნობრივად იყენებენ ჩვენი წინაპრებისგან განსხვავებით. კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ კი ეს მიწები დაურიგდა სოფლის მცხოვრებლებს და ახლა ყველას თავისი ინდივიდუალური მეურნეობა აქვს. გოლია ბაბუა ამბობდა, რომ როცა მის მშობლებს არ ეცალათ, მაშინ მისი და-ძმა მიდიოდა იქ

სამუშაოდ მშობლების ნაცვლად.

დღეს კი სოფელში მაღაზია არ არის და მაცხოვრებლებს პროდუქტის მოსამარაგებლად რაიონებში უწევთ სიარული, ფასებიც უფრო მაღალია, თუმცა, ახლაც სოფლის მცხოვრებლები მეურნეობას – მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ.

ეკლესია და ნათლობა

ბაბუმ მითხრა, რომ ის მონათლულია, მაგრამ მისმა ნათლობამ გარკვეული პრობლემები შეუქმნა ოჯახს, რადგან იმ პერიოდში აკრძალული იყო ეკლესიებში სიარული, მღვდელს ეკრძალებოდა წირვა-ლოცვის ჩატარება და ასვე ხალხის მონათვლა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ გოლია ფანგანის მშობლები იყვნენ ძალიან მორწმუნე ადამიანები და, როცა ისინი ეკლესიაში ვერ მიდიოდნენ, ბაბუას დედა სახლში აცხობდა „ლემზირებს“ – ეგრეთ წოდებულ სეფისკვერებს, მამა კი ცვილისგან თვითონ ამზადებდა სანთლებს, შემდეგ ამ სანთლებს ანთებდნენ მსხლის ხესთან, რომლის პირდაპირაც მთვარანგელოზის მონასტერი დგას და ღმერთს, პირველ რიგში, სთხოვდნენ ოჯახის კეთილდღეობას, ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს, შემდეგ ეს სეფისკვერი ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა, რადგან ღვთის მადლი გადმოსდებოდათ, ბაბუა კი ყველასგან ჩუმად მონათლა მღვდელმა ღელეში, რადგან ამ რიტუალის ეკლესიაში ჩატარების უფლება მღვდელს არ ჰქონდა და ამგვარად მოინათლნენ ბაბუას დედმამიშვილებიც.

აუსრულებელი ოცნება

გოლია ფანგანმა ასევე მიამბო, რომ მას ძალიან უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ოჯახი ვერ დატოვა, რადგან ის და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო და მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა, რადგან მისი მშობლები უკვე ასაკში იყნენ და ადრინდელივით არ შეეძლოთ მუშაობა და ოჯახის რჩენა. ამიტომ ბაბუამ უმცროსი ძმა გააფრთხილა და პირობა დაადებინა, რომ სწავლას ის მაინც გააგრძელებდა და შემდეგ, როცა ბაბუას ჯარში გაიწვევდნენ, ის მიხედავდა ოჯახის დანარჩენ წევრებს. საბედნიეროდ, მან ეს სურვილი აუხდინა და გახდა ცნობილი ექიმი, შემდეგ მისმა უმცროსმა და-ძმამაც გააგრძელა სწავლა სხვადასხვა პროფესიით, რომელთაგან ერთ-ერთი შემდეგ სოფელ წვირმის სკოლის დირექტორი იყო. ხოლო როცა გოლია ბაბუა ჯარიდან დაბრუნდა, ხელი მოჰკიდა ხელოსნობას და ჭედავდა სხვადასხვა ნივთებს, შემდეგ შექმნა ოჯახი, ხელის სათხოვნელად კი გააგზავნა მოციქულები მეზობელ სოფელში. თავიდან ბებიას ოჯახი უარზე იყო, მაგრამ, როცა თვითონ ბებიამ თანხმობა განაცხადა, მას შემდეგ 1 თვეში დაინიშნენ, ხოლო 6 თვის შემდეგ ქორწილი გადაიხადეს ბაბუას სახლში, შემდეგ ორივე შრომობდა და ზრუნავდა

შვილების კეთილდღეობაზე და ბაბუა ცდილობდა, რაც მას დააკლდა, თავისი შვილებისთვის გაეკეთებინა და აენაზღაურებინა, თუნდაც სწავლის გაგრძელება, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება და შემდგომი პერსპექტივები საბჭოთაკავშირისდროინდელ ქვეყანაში.

ჩემს მიერ ჩატარებული პატარა კვლევის შედეგად დავადგინე, რომ ბაბუა-ჩემის დროს, 70 წლის წინ სოფელ წვირმში ორჯერ მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა, ორჯერ ნაკლები სახლები იყო, მაგრამ ამ სახლებში ორჯერ მეტი ხალხი ცხოვრობდა ვიდრე ახლა. მთავარი გასართობი მაინც იყო ცეკვა, სიმღერა და სპორტული თამაშები, როგორც ახლა, მაგრამ ახალგაზრდები დროს ატარებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობით, მაშინ როცა დღევანდელი თაობა ჩაკეტილია სახლებში და ერთმანეთთან ურთიერთობს სოციალური ქსელებით. მაშინდელ სოფელ წვირმში იყო უფრო მეტი მისვლა-მოსვლა, თანადგომა ურთიერთდახმარება და მჭიდრო კავშირები, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ცხოვრება მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან გზა თვეობით იკეტებოდა, ხალხი ფეხითა და ცხენებით დადიოდა მესტიაში, ავადმყოფი კი ხარებშებმული მარხილით გადაჰყავდათ რაიონში, რაც გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა, დღეს კი მედპერსონალს უფრო სწრაფად და კომფორტულად გადაჰყავს ავადმყოფი შესაბამის საავადმყოფოებში.

ასევე არსებობდა მხოლოდ ერთი საკაბელო ტელეფონი და რადიო, როგორც კომუნიკაციის საშუალება, მიუხედავად ამისა, ჩვენი ბებია-ბაბუას თაობა ძალიან ტკბილად იხსენებს იმ დროს და ის დრო მიაჩნიათ იდეალურად, ვიდრე დღევანდელი, ვინაიდან მაშინდელი წვირმი იყო ურთიერთობა და ამით ყველაფერი ნათქვამია.

სოსო კოჰძაია, 17 წლის

მესტიის ჰაიონის სოფელი
წვიჰმის საჯაჰო სკოლა
მე-12 კლასი
პელაგოგი: გიოჰგი გვასალია



ჩემი დიდი ბაბუა პირველ მსოფლიო ომში

200 000 ქართველი იღებდა მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში, აქედან 100 000 არ დაბრუნებულა სამშობლოში. ამ 200 000-ს შორის იყო ჩემი დიდი ბაბუა, პლატონ კორძაია და მისი ძმა, იოსებ კორძაია. ამ ორი ძმიდან მხოლოდ პლატონი დაბრუნდა ომიდან, ხოლო იოსები უგზო-უკვლოდ დაიკარგა პირველ მსოფლიო ომში. აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გადმოგცეთ ჩემი წინაპრის ისტორია და მისი თავგადასავალი, რაც მას გადახდა ომის დროს. ამ უნიკალური ამბების გადმოცემით მე მინდა, დოკუმენტურად შევუნახო ჩვენს მომდევნო თაობას ის ზეპირი ისტორია, რაც მე მომისმენია ბაბუაჩემისაგან, მუშნი კორძაისაგან და გიამბოთ ერთი რიგითი ჯარისკაცის ბიოგრაფია დიდი ომიანობის დროს.

ჩემი ესე მინდა დავიწყო, პირველ რიგში, ჩემი სოფლისა და ჩემი გვარის ისტორიით. მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფელი წვირმი წარმოადგენდა ზუსტად იმ ადგილს, რომელიც ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ იყო აღწერილი. სოფლებს, წვირმსა და იელს შორის მოიპოვებოდა ოქრო ზუსტად იმ წესით, როგორც ეს არის აღწერილი ძველბერძნულ მითში. ამ ორი სოფლის მაშინდელი მაცხოვრებლის ძირითადი საქმიანობა ზუსტად ეს იყო – კუსტარული წესით ოქროს მოპოვება მდინარე ენგურში და მერე მისი ჩაბარება სოფელ იელში, თუმცა ფულის ნაცვლად ოქროს მომპოვებლებს ბარტერით აძლევდნენ მათთვის საჭირო პროდუქციას, ან ნივთებს, მაგალითად, ტანსაცმელს. ოქროს მოპოვება ხდებოდა შემდეგნაირად: ენგურის ნაპირთან კეთდებოდა ცალკე არხი, სადაც შემოდიოდა წყალი და მის გასწრივ ეფინებოდა ნაბადი. ნაბადი ატარებდა წყალს და მის ზედაპირზე ილექებოდა ოქროს ნაწილაკები. ამის მოპოვება ხდებოდა ზამთარში, როდესაც მდინარე არ იყო წყალუხვი, ვინაიდან გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს ეს შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება ჩემი გვარის ისტორიას - კორძაიების საგვარეულოში არსებობს ორი განშტოება: ერთი არის სვანი კორძაიები (სხვათა შორის, ამ განშტოების ცნობილი წარმომადგენელია მწერალი, ანა კორძაია-სამადაშვილი), რომლებიც მესტიის რაიონში ძირითადად ცხოვრობენ სოფლებში: ეწერში, წვირმსა და იფარში, მეორე განშტოება არის მეგრელი კორძაიები, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულები აბაშის რაიონში. პირადად მე ვიცნობ ჩემ გენეალოგიას მე-6 თაობის ჩათვლით და ჩემი წინაპრების განშტოება იყო წარმოდგენილი სვანეთში მე-19 საუკუნიდან, რაც დოკუმენტურად დამტკიცებულია. ამიტომ მესტიის რაიონის კორძაიები თავის თავს ყოველთვის აიგივებდნენ სვანებთან მათი მეგრული წარმომავლობის გვარის მიუხედავად. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ არსებობს გადმოცემა. რომ გვარი კორძაია არის ერთ-ერთი გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერებს შორის.

1990 წლებიდან ჩვენს სვანურ საგვარეულოში ჩამოყალიბდა კარგ ტრადიციად სვანური კორძაიების წელიწადში ერთხელ შეკრება. ყველა კორძაია, ვინც თავის თავს სვანებთან აიგივებს, ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის სვანეთში, მათ შორის თბილისიდან, ბათუმიდან, ქვემო ქართლიდან და სხვა რაიონებიდან. ზუსტად ერთი ასეთი შეკრების დროს დაიბადა საგვარეულო გერბის შექმნის იდეა. მე მინდა შემოგთავაზოთ ჩემი გერბის აღწერილობა, რომელშიც პირდაპირ ასახულია ჩვენი გვარის ისტორია.

გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმომწერთა გვარების ჩამონათვალი. წყარო: ფრაგმენტი ელექტრონული წიგნიდან „კორძაიების საგვარეულო ისტორია“, ავტორი თენგზი კორძაია, დაიბეჭდება 2018 წლის სექტემბერში.

კორძაიების საგვარეულო გერბი. წყარო: თენგიზ კორძაია, „კორძაიების საგვარეულო ისტორია“, წიგნის ელექტრონული ვერსია, დაიბეჭდება 2018 წლის სექტემბერში.

კორძაიების საგვარეულო ნიშანი წარმოადგენს ჰერალდიკურ კომპოზიციას, რომელიც განთავსებულია ხუთ ნაწილად დაყოფილ კლასიკური ტიპის ფარზე.

ფარის ზედა, მარჯვენა ნაწილში, მწვანე მინდორზე განთავსებულია „ოქროს საწმისის“ გამოსახულება, სამი ლურჯი ზოლითურთ – კოლხეთის სამშობლო. კორძაიების გვარი, ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, განსახლებული იყო მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მოყოლებული აჭარიდან ვიდრე სვანეთამდე.

ფარის ზედა მარცხენა ნაწილში, ლურჯ მინდორზე გამოსახულია გალავნიანი სვანური კოშკები მთის ფონზე. კორძაიების გვარი დოკუმენტურად პირველად სწორედ სვანეთში ფიქსირდება (XV ს).

ფარის ქვედა მარჯვენა ნაწილში, ლურჯ მინდორზე გამოსახულია სასწორი – კორძაიების გვარის წარმომადგენლები ხშირად იყვნენ მედიატორები და მდივანბეგები.

ფარის ქვედა, მარცხენა ნაწილში, წითელ ველზე განთავსებულია მახვილის, თოფისა და მრგვალი ფარის გამოსახულება. კორძაიების მოვალეობას სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ისინი ადრე იყვნენ თავადები, შემდგომ კი იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის აზნაურები.

ფარის ცენტრალურ ნაწილში, მცირე ფარზე, ოქროსფერ მინდორზე წარმოდგენილია ილორის წმ. გიორგის ხატის გამოსახულება, როგორც კორძაიათა გვარის მფარველისა და სალოცავისა.

ფარის ქვევით განთავსებულია ოქროსფერი ლენტი, რომელზეც აწერია გვარის დევიზი: „რწმენით და სიმართლით“.

დიდი ბაბუა პლატონ კორძაია წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ვინაიდან მის

დროს სოფელ წვირმში საერთოდ არ არსებობდა სკოლა. პირველად სკოლა სოფელში გაიხსნა მხოლოდ 1912 წელს და ისიც იყო ოთხწლედი. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე. ეს იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების მცდელობა. ამის შედეგს ჩვენ დღესაც ვიმკით. ასე რომ, საფუძველს არ არის მოკლებული შემდეგი ხუმრობა: როგორ არის სვანურად მაგიდა? – „სტოლი“, სკამი? – „სტული“. მე-20 საუკუნის დასაწყისში წვირმელებმა პატარაობისას არ იცოდნენ ქართული, რადგან არ არსებობდა ქართული სკოლა. ქართულს მხოლოდ მაშინ სწავლობდნენ, როდესაც უკვე 15-16 წლის ახალგაზრდები მიდიოდნენ სამუშაოდ ბარში ფიზიკურ სამუშაოებზე, ძირითადად სამეგრელოში და იმერეთში. ჩემი დიდი ბაბუა დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, როდესაც ის გაიწვიეს რუსულ ჯარში, რადგან არც ქართული იცოდა და რუსული ხომ - საერთოდ. მას გაუმართლა იმ მხრივ, რომ მასთან ერთად იყვნენ სხვა ქართველი ახალწვეულები. მათგან ჯერ ისწავლა ქართული და შემდეგ მისი ქართველი თანამებრძოლები უთარგმნიდნენ მეთაურის ბრძანებებს და ნელ-ნელა შეასწავლეს რუსული ენა. ამიტომ იყო, რომ ჩემი დიდი ბაბუა ჯერ იყო ზურგში და მხოლოდ 2 წლის შემდეგ, როდესაც ისწავლა რუსული ენა, გააგზავნეს დასავლეთის ფრონტზე. როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელია. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ დიდმა ბაბუამ იმდენად კარგად იცოდა რუსული ენა, რომ სოფელში თუ ვინმე მოდიოდა რუსულენოვანი, ის ასრულებდა თარჯიმნის როლს.

მე ვარ ახლა 17 წლის და რამოდენიმე დღეში გავხდები 18-ის, ვსწავლობ წვირმის საჯარო სკოლაში, მაშინ, როდესაც ჩემი დიდი ბაბუა უკვე ამ ასაკში მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში. 1914 წელს, როდესაც უკვე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ბაბუაჩემი გახდა სრულწლოვანი და იგი მის ორ თანასოფლელთან ერთად მესტიის რაიონის სოფელ წვირმიდან გაიწვიეს რუსეთის არმიაში. ვინაიდან ჩემ წინაპარს არანაირი სამხედრო გამოცდილება არ ჰქონდა, ის ჯერ სამხედრო სამსხურს გადიოდა რუსეთში, სადაც მას ასწავლიდნენ სამხედრო ხელოვნებას, ხოლო მას შემდეგ, რაც ორწლიანი საგანგებო სამხედრო მომზადების შემდეგ ის სრულიად მზად იყო საბრძოლო მოქმედებებში ჩასართველად, პლატონი გადაისროლეს ევროპაში, ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1916 წლიდან 2 წლის განმვლობაში ის აქტიურად იბრძოდა ავსტრიულ ფრონტზე. 1918 წელს ერთ-ერთი შეტაკების დროს მან 2 ტყვია მიიღო ფეხში და ვინაიდან არ შეეძლო შემდგომი გადაადგილება, ამიტომ ავსტრიელებს არ გაუჭირდათ მისი ტყვედ აყვანა. ტყვედ აყვანის შემდეგ პლატონ კორძაისთვის ავსტრიელებს არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ. პლატონის მკურნალობა მიმდინარეობდა მხოლოდ მისი და მისი ტყვე მეგობრების ძალისხმევით. ჩემი დაჭრილი წინაპარი გადაიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც დიდი ბაბუა რუსული სახელწოდებით, лагерь -ით იხსენიებდა. ამ ბანაკში სასტიკად ეპყრობოდნენ, ხშირად აწამებდნენ. წამების

ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ხელ-ფეხის შეკვრა და უკუღმა ჩამოკიდება თოკზე. ასეთ მდგომარეობაში პატიმრებს საათობით ტოვებდნენ სიცივეში. ასეთ პოზაში ხდებოდა სისხლის ჩაქცევა თავში და ადამიანი გონებას კარგავდა. ბანაკი თავისი არსით იყო შრომა-გასწორებითი კოლონია. პატიმრებს ამუშავებდნენ სხვადასხვა სამუშაოზე. დიდ ბაბუას, თავისი ჭრილობის მიუხედავად, უწევდა გაუსაძლის პირობებში მუშაობა დიდი ტკივილის თანხლებით. მიუხედავად იმისა, რომ დატყვევებიდან რამდენიმე ხანში ომი დამთავრდა, ტყვეები მაინც არ გაათავისუფლეს და დატოვეს ბანაკში. ერთადერთი ძალა, რომელიც პლატონ კორძაიას ფსიქოლოგიურ სიძლიერეს ჰმატებდა, იყვნენ მისი ქართველი მეგობრები, რომლებიც ერთმანეთს ამხნევებდნენ. ვინაიდან ომი დამთავრდა და ტყვეებს გადაეწურათ განთავისუფლების ყველანაირი იმედი, ამიტომ პატიმრებმა დაიწყეს ფიქრი გაქცევაზე лагерь-იდან. პლატონს ჰქონდა გაპარვის 2 წარუმატებელი მცდელობა და მხოლოდ მესამე ჯერზე, როდესაც პატიმრებმა მალულად გათხარეს გვირაბი, ისინი აღმოჩნდნენ თავისუფლებაზე. ეს ყველაფერი მოხდა 1923 წელს, პატიმრობის 5 წლისთავზე. ამ გაქცევის დროს ჩემს წინაპართან ერთად იყო მისი სამი მეგობარი, მაგრამ დევნის დროს ავსტრიელი ბადრაგის ტყვია დაეწია მის რუს მეგობარს და ის ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ამ ოთხიდან სამმა შეძლო ბანაკიდან გაქცევა. დიდ ბაბუას უკვე ჰქონდა მოშუშებული ჭრილობა და უკვე შეეძლო კოჭლობით თავისუფლად გადაადგილება. გაქცეულ მეგობრებს ღამით უწევდათ სიარული, ვინაიდან დიდი იყო მათი აღმოჩენის ალბათობა დღისით. ამიტომ დღისით ტყვეებს ეძინათ.

ისინი ერთი თვის განმავლობაში გარბოდნენ ტყეში, რომ გაეღწიათ რუსეთის მხარეს, ერთი თვის განმავლობაში მათ არ ჰქონდათ საჭმელი, თუმცა გზადაგზა ნათესებში ხვდებოდათ ხორბალი და კარტოფილი, რისი ჭამაც უმად უხდებოდათ, რადგან მათ არ ჰქონდათ საშუალება, დაენთოთ ცეცხლი, ან ეშინოდათ ცეცხლის დანთების, რადგან ეს შესამჩნევი გახდებოდა. ისინი ძალაუნებურად ეწეოდნენ ველურ ცხოვრებას, მეტწილად მათ უხდებოდათ ღამით სიარული, რადგან შეუმჩნეველი ყოფილიყვნენ. მათ არ შეეძლოთ, ხიდზე გადასულიყვნენ, რის გამოც უხდებოდათ მდინარეების გადაცურვა, მაგრამ პლატონმა არ იცოდა ცურვა, ამიტომ მას ეხმარებოდნენ თავისი რუსი მეგობრები. როდესაც ისინი კლდეებზე გადადიოდნენ, აქ პლატონი ეხმარებოდა თავის მეგობრებს, რადგან მისთვის არ იყო უცხო კლდეებზე გადასვლა. როდესაც მათ მიაღწიეს ოდესამდე, არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი არ ჰქონდათ შემორჩენილი და ჰგავდნენ ველურ ადამიანებს. ეს ფათერაკებით სავსე მოგზაურობა ავსტრიიდან ოდესამდე გაგრძელდა 1 თვეს.

თუ ჩემი წინაპარი 1916 წელს გავიდა ფრონტზე სხვა სახელმწიფოს სახელით, რომელსაც რუსეთის იმპერია ერქვა, ამჟამად ის დაბრუნდა უკვე ახალ სახელმწიფოში, რომელსაც ერქვა საბჭოთა კავშირი. სამხედრო კომისარიატში ჩაბ-

არების შემდეგ მათ აღმოუჩინეს დახმარება, მისცეს თბილი ტანსაცმელი, უმკურნალეს, დააპურეს, აღუდგინეს საბუთები. პლატონს მისცეს ოდესიდან ფოთისკენ მიმავალი ორთქმავლის ბილეთი. ოდესაში ჩემი წინაპარი დაემშვიდობა თავის ორ რუს მეგობარს და უკვე გემით გააგრძელა გზა სამშობლოსკენ. ვინაიდან მაშინდელ საქართველოში იყო არეული სიტუაცია, რაც იყო გამოწვეული ანტისაბჭოთა გამოსვლებით, პლატონს არ მისცეს ნებართვა, ფოთიდან პირდაპირ სვანეთში გამგზავრებულიყო. ნებართვის ასაღებად ის დაამისამართეს ქუთაისში. ქუთაისში სამხედრო კომისარიატში დიდი ლოდინის შემდეგ მას მისცეს ქვემო სვანეთში გამგზავრების საშვი. ამ საშვით პლატონ კორძაია ჩავიდა ქვემო სვანეთში და უკვე იქიდან მთის ბილიკით გადავიდა ზემო სვანეთში და რამდენდღიანი მოგზაურობის შემდეგ, როგორც იქნა, დაბრუნდა მშობლიურ სოფელ წვირმში. წვირმში უკვე ის ითვლებოდა კარგა ხნის დაღუპულად და არავინ უჯერებდა საკუთარ თვალებს, როდესაც დაინახეს პლატონი. ძლივს იცნეს ჩემი დიდი ბაბუა, ვინაიდან 18 წლის ასაკში, როდესაც ის წავიდა ჯარში, მას სულ ახალგაზრდული იერი ჰქონდა, ახლა კი 40 წლის ადამიანივით გამოიყურებოდა, რომელმაც დიდი გაჭირვება გადაიტანა საკუთარ თავზე. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც დიდ ბაბუას უშვებდნენ რუსულ არმიაში, მის სახელზე ოჯახმა შეიძინა პატარა ციკანი და დათქვეს, რომ მისი ჯარიდან დაბრუნებისთანავე უკვე გაზრდილ თხას დაკლავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ჰქონდა გადაწურული მისი დაბრუნების იმედი, ამ თხას ხელს არავინ არ ჰკიდებდა. პლატონის დაბრუნების აღსანიშნავად დაკლეს ეს თხა და სოფელში გაიშალა დიდი სუფრა. დაკლული თხის რქები და ძვლები დამარხეს სპეციალურ ადგილას ამ მოვლენის აღსანიშნავად.

დაბრუნებიდან სამი წლის შემდეგ მან მოიყვანა მეუღლედ ეკატერინე თამლიანი და ეყოლათ შვიდი შვილი. ამ ომიდან დაბრუნების შემდეგ მან იცოცხლა 35 წელი. მას დარჩა შვილები და შვილიშვილები.

ერთ-ერთი აღსანიშნავი ფაქტი იყო ის, რომ პირველ მსოფლიო ომში მასთან ერთად იბრძოდა მისი უფროსი ძმა, იოსებ კორძაია, მაგრამ სხვა ფრონტზე. სამწუხაროდ, ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაგრამ დარჩა მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ყველა ადამიანს რუსულ სახელს, пленник-ს ეძახდნენ. ჩემს ბაბუასაც დაერქვა ეს ზედმეტსახელი, მაგრამ ვინაიდან სვანურისთვის ეს ჟღერადობით უცხო იყო, ამიტომ ის გადაკეთდა დროთა განმავლობაში და გახდა „პანტლე“. ამის მერე ჩემ დიდ ბაბუას მოფერებით სულ „პანტლეს“ეძახდნენ და ეს მეტსახელი შერჩა ბოლომდე.

დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ ჩემი ნაწერი, შეიძლება ითქვას, რომ ერთი ადამიანის ცხოვრებისეული გზით ჩვენ შეიძლება თვალყური ვადევნოთ მთელ ისტორიულ ქრონიკებს. პლატონ კორძაია გარდაიცვალა 1957 წელს და დასაფლავებულია კორძაიების საგვარეულო სასაფლაოზე მაცხოვრის ეკლესიის

გვერდით. მისი საფლავის ქვაზე ამოტვირფულია მისი პორტრეტი, რომელიც გადაღებულია ერთადერთი სურათიდან, რომელიც მან სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გადაიღო მასზე ბევრად ახალგაზრდა მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ეს სურათია შემორჩენილი დიდი ბაბუის სიცოცხლით სავსე ისტორიიდან. ადრე თუ პლატონი ითვლებოდა სოფლის კოლორიტად და გმირად, ვინაიდან ის იყო ერთადერთი ადამიანი, დაბრუნებული პირველი მსოფლიო ომიდან სვანეთში, დღეს მხოლოდ ორი უხუცესი ადამიანია შემორჩენილი სოფელში, ვისაც ცოცხლად ახსოვს პანტლე და ახსოვს მისი მოყოლილი ისტორიები. ამ ნაშრომის მიზანი სწორედ ეს იყო, არ დაკარგულიყო ჩემი დიდი წინაპრის თავგადასავალი და არა მხოლოდ ჩვენ სოფელში სცოდნოდათ, არამედ მთელ საქართველოში გაგვეცოცხლებინა პლატონ კორძაიას ისტორია.